

# ხობის მოამბე

№3 (7039) 18 თებერვალი, ოთხშაბათი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი




*ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს საზოგადოებასა თუ პოლიტელიტაში დიდი გამოხმაურება აქვს. ბოლო დროს დაგროვილ აქტუალურ საკითხებზე ყოფილი პრემიერის მოსაზრებები საინტერესოა.*

*რამდენიმე ამონარიდი ბიძინა ივანიშვილის „კვირის პალიტრისთვის“ მიცემული ინტერვიუდან.*

# გავბედე და კიდევ გავბედავ!

„საზოგადოდ, ნათესაობასთან დაკავშირებული საკითხები მტკივნეულია საქართველოში და ეს მხოლოდ ღარიბაშვილის პრობლემა არ არის. იგივე პრობლემები მეც მაქვს“.

* * *

„ალასანიასთან სხვა პრეტენზიებიც მქონდა, მაგრამ არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო. მე კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი“...

* * *

საქართველოში, კადრების საკითხი პრობლემურია, რადგან თავად კადრების კვალიფიკაციის საკითხია პრობლემური. საჯარო მოხელეების შერჩევა არ არის მარტივი. ვიმეორებ, ცუდია, რაც მერიაში მოხდა, მაგრამ კარგია, რომ გამოამჟღავნეს. თუ მერიაში ტრაგიკული საკადრო შეცდომებია და ეს რაღაც კონვეიერის სახეს მიიღებს, ნარმანიას მიმართ კითხვები დაისმება. თუმცა, ეს პირველი ფაქტია და დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

***

დღეს პროკურატურა კვალიფიკაციითა და ხარისხით სრულიად განსხვავდება წინა პერიოდისგან და ისწრაფვის სრულყოფისკენ. ის, რომ პროკურატურას აკრიტიკებენ, ამას კარგი ანალიზი სჭირდება. ადრე პროკურატურა იმ დასკვნას წერდა, რასაც სააკაშვილი ან ადეიშვილი დაუკვეთდნენ, სასამართლო კი ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებდა. ასეთ მუშაობას მაღალი კვალიფიკაცია არ სჭირდება. დღეს პრინციპულად სხვა ვითარებაა, მთავრობა აღარ ძალადობს სასამართლოზე, სასამართლომაც თამასა მაღლა ასწია და პროკურატურის თანამშრომლებს მუშაობის პროცესშივე მოუწიათ კვალიფიკაციის ამაღლებამ. დღეს მთავარი ის არის, რომ მიდგომა შეიცვალა - არც ერთი საქმის თაროზე შემოდება და მიფუჩეჩება არ ხდება. მტკიცებულებების მოპოვება კი მარტივი არ არის. პროკურატურა სწორ გზაზეა და ამას უნდა მიაქციოს საზოგადოებამ ყურადღება და ტრაგიკული სურათების დახატვა საჭირო არ არის.

***

სისტემური კორუფციის მაგალითს თქვენ ვერ ნახავთ. ამაში ჩემი წვლილიცაა, რადგან პრემიერობისას, ჩემი პრინციპული პოზიცია იყო–არანაირი კორუფცია არ უნდა ყოფილიყო. და ღარიბაშვილიც ამ პოზიციაზეა. ძალიან ღირსეული პრემიერი ჰყავს დღეს საქართველოს.

***

ისევ და ისევ ადგილობრივ თვითმმართველობაზე გავამახვილებდი ყურადღებას– მმართველობა ადგილებზე უნდა გადავიტანოთ, გამგებლებს მეტი უფლებები უნდა მივცეთ და ეს ზემოდან ვერტიკალით არ უნდა იყოს გამყარებული. შესაძლოა, რეგიონებში არსებობს საკადრო პრობლემები.

* * *

გადამწყვეტი ფუნქცია და როლი ისევ და ისევ საზოგადოების ორგანიზებულობას აქვს, რაშიც მეც მინდა წვლილი შევიტანო. საზოგადოების კონტროლი ყველგან და ყველაფერში უნდა იგრძნობოდეს. ეს გაუადვილებს წესიერ მთავრობასა და პრემიერს, უფრო ეფექტური იყვნენ და ყველას დაუკარგონ იმის ილუზია, რომ საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის” დროინდელი ამბავი განმეორდება.

***

რესპუბლიკელები, რომლებიც ვერ მალავენ და ალასანიას მხარს უჭერენ, ხელოვნურად აგორებულ თემებზე, რომ კომისიას ქმნიან, შეამოწმონ პროკურატურა ამ ნაწილშიც. ამის ნაცვლად, მხოლოდ ზოგად პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ და პროკურატურას პირდაპირ ემუქრებიან. იმას კი არ ამბობენ, დაკავებულები დამნაშავეები არიან თუ არა, მთავარ პროკურორს დავიჭერთო, აცხადებენ.

ინტერვიუ

# საზოგადოებასთან ერთად მეტი ვალდებულება გვეკისრება

## გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი



***ბატონო გოჩა, დავიწყოთ იმით, რაც მოსახლეობის ინტერესს იწვევს. ეს-ესაა დამთავრდა კონკურსის მესამე ეტაპი. რას იტყვით, როგორც საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, როგორია შედეგები და ვაკანსიები თუ არსებობს?***

–ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარე საჯარო კონკურსები, ისევე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებისა, მართლაც დიდი ინტერესის არეალშია მოქცეული, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ამ მასშტაბების კონკურსები ჯერ არ ჩატარებულა. მართალია, რომ პერიოდულად ტარდებოდა კონკურსები ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, მაგრამ ეს დაწესებულების ხელმძღვანელის სურვილზე იყო დამოკიდებული. ამჟამად კი, კანონმდებლობით იქნა დადგენილი ვაკანტური თანამდებობის კონკურსის წესით შევსების სავალდებულობა.

მიმდინარე პერიოდისთვის კონკურსების მასშტაბურობა საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გამგეობებსა და საკრებულოებში განხორციელებულმა რეორგანიზაციის პროცესებმა განაპირობა. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხებით გათვალისწინებული 150 თანამდებობიდან 91 კონკურსის წესით შევსებას დაექვემდებარა. კონკურსის გამოცხადების შემდგომ, 91 ვაკანსიაზე 524 პირის 1047 განაცხადია შემოსული.აქვე დავსძენ, რომ, როგორც ჩვენთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც სიახლეს წარმოადგენს კონკურსების თანამედროვე პროცედურები და განაცხადების ელექტრონულად წარდგენისას დაფიქსირდა არაერთი ხარვეზი, რაც ძირითადად ტექნიკური ხასიათისა იყო. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტებს დამატებით მიეცა ერთი დღე ხარვეზის გამოსასწორებლად, რის შემდგომაც კომისიის სამდივნო შეუდგა შემოსული განაცხადებების დამუშავებას.


>>>>>>>>>> 3


მილოცვა

# ნუგზარ ნადარაიას!



ბატონო ნუგზარ! თქვენ, თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლები ხობს მიუძღვენით, სწორედ ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი ხობის ეკონომიკურ, კულტურულ-სპორტულ აღმავლობას, მისი აღორძინების საქმეს. თქვენი სახელი მჭიდროდ უკავშირდება ხობის აღმშენებლობას, რომლის დროსაც შეიქმნა კულტურულ-სპორტული კერები, მუზეუმები, თეატრონი, დაიწყეთ ზრუნვა ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რეაბილიტაციაზე.

თქვენი მოღვაწეობის პერიოდში, ხობი თეატრალების, კომპოზიტორების, მხატვრების, მწერლების, მსახიობებისა და სპორტსმენთა გამორჩეულ ადგილად იქცა, ხობელებს არასდროს დაავიწყდებათ თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებული მასშტაბური ხასიათის ღონისძიებები, საქართველოს თეატრის, კინოს, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლების მონაწილეობით.

გარდა ამისა, თქვენი უდიდესი დამსახურებაა ეროვნული–ქრისტიანული ტრადიციის დამკვიდრება, რომლის ბრწყინვალე მაგალითია „ცოტნეობის“ დღესასწაული, რომლითაც თქვენ აჩვენეთ, როგორ უნდა აღვიქვათ ერთად ქრისტიანობა და სამშობლო.

და ბოლოს, როგორც ხობის საპატიო მოქალაქეს, ღირსეულ პიროვნებას, ჭეშმარიტ ინტელექტს და შემოქმედს, გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ერის სასახელოდ.

***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს სახელით***

***გოჩა ქაჯაია, ელიშერ ჯობავა.***

# საქართველოსა და ლიტვას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა



დოკუმენტს ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა მოაწერეს ხელი.

ხელმოწერის ცერემონიამდე ირაკლი ღარიბაშვილმა და ალგირდას ბუტკევიჩიუსმა საქართველო-ლიტვის ბიზნესფორუმი გახსნეს, რომელშიც 100-ზე მეტი ბიზნესმენი მონაწილეობს.

საქართველოში არსებული ხელსაყრელი პირობები ბიზნესის საწარმოებლად, ქვეყნის მტკიცე რეგიონალური სავაჭრო ურთიერთობები და სატრანზიტო პოტენციალი საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართვის ძირითადი თემები იყო.

„ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, მსოფლიოს ბაზრებსა და გლობალური მიწოდების ქსელებში ინტეგრაციას. ამასთან ერთად, ეს ახალი პერსპექტივებით უზრუნველყოფს საქართველოსა და იმ ბიზნესმენებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში საქმიანობენ“,–განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ხაზი გაუსვა ლიტვასთან სავაჭრო ბრუნვის ზრდის მნიშვნელობას.

· სავაჭრო ბრუნვა ლიტვასთან 30.5 პროცენტით გაიზარდა და 76 მილიონ დოლარს გადააჭარბა;

· ექსპორტი თითქმის 46 პროცენტით, 32 მილიონ დოლარამდე გაიზარდა;

· იმპორტი 21 პროცენტზე მეტით, 45 მილიონ დოლარამდე გაიზარდა;

ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალზე ისაუბრა ლიტვის პრემიერ-მინისტრმა. ალგირდას ბუტკევიჩიუსის განცხადებით, საქართველოს და ლიტვას საერთო ეკონომიკური ინტერესები აქვთ და ლიტველი ბიზნესმენები დაინტერესებული არიან ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობით.

„მე ჩამოვედი საქართველოში, რომ სტიმული მიმეცა ორი ქვეყნის ბიზნესებს შორის თანამშრომლობისთვის და დარწმუნებული ვარ, ბიზნესფორუმი პროდუქტიული იქნება“,–აღნიშნა ლიტვის პრემიერმა.

# ირაკლი ღარიბაშვილი–გაზი ამ ეტაპზე არ უნდა გაძვირდეს

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გაზის გაძვირების საკითხზე ისაუბრა. მისი თქმით, ნაპოვნი იქნება გზები, რომ გაზის საფასურის გაძვირება ამ ეტაპზე არ მოხდეს.

''რაც შეეხება გაზის საკითხს, ვფიქრობ, რომ ამ თემაზე ჩვენ არ უნდა ვიჩქაროთ. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დრო, რომ ყველაფერი კიდევ ერთხელ კარგად გავაანალიზოთ. ჩემი დავალებით ეკონომიკურმა საბჭომ დაიწყო ამ საკითხის შესწავლა, უფრო კარგად გაანალიზება. ჩვენ გამოვნახავთ გზებს იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ გაზის საფასურის გაძვირება ამ ეტაპზე მაინც“,–განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ღარიბაშვილმა ეკონომიკურ გუნდს მოუწოდა, გაზის საფასურის გაძვირების საკითხის გადავადებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანულ მხარესთან მოლაპარაკებები აწარმოოს.

" მინდა ორივე ვიცე-პრემიერს მოგიწოდოთ, ეკონომიკურ საბჭოსთან ერთად ეს საკითხი უსწრაფესად გადაწყვიტოთ. შეიძლება ჩვენ მივმართოთ თხოვნით აზერბაიჯანის მხარესაც, რომ მოხდეს საკითხის გადავადება, პროცესის გადაწევა. მიმაჩნია, რომ არის გარკვეული გზები თავიდან ავირიდოთ გაზის ფასის გაძვირება", - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ღია სხდომა ზუგდიდის გამგეობის შენობაში ჩატარდა



სხდომას აფხაზეთის მთავრობის მინისტრებთან ერთად სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი ლევან შონია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლაშა გოგია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი ედიშერ თოლორაია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დევნილი საზოგადოება ესწრებოდნენ.

სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ სოზარ სუბარის მიერ დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრისას წარმოთქმული პირობა გააცნო, რაც დევნილთათვის 2 500 ბინის მშენებლობას გულისხმობს. ვახტანგ ყოლბაიამ სხდომის მსვლელობისას დამსწრე საზოგადოებას აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებში განხორციელებული პროექტები და სამომავლო გეგმები გააცნო. გარდა ამისა, საუბარი შეეხო საზოგადოებრივი მაუწყებლის „მეორე არხის“ ეთერში აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის სატელევიზიო მაუწყებლობის გახსნას, რომელიც 15 თებერვლიდან, კვირაში ერთხელ იმაუწყებლებს. მთავრობის თავმჯდომარემ ასევე განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას და თანადგომისათვის მათ მადლობა გადაუხადა.

აფხაზეთის კულტურისა და განათლების მინისტრმა დიმა ჯაიანმა იმ პროექტებზე ისაუბრა, რა მიმრთულებითაც სამინისტრო მუშაობს, კერძოდ, სკოლების სრულფასოვან მუშაობაზე, წარჩინებული მოსწავლეების საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნაზე. ჯაიანმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა გალის ტერიტორიაზე პედაგოგიური საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს და მათ გმირები უწოდა.

აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრმა ქეთევან ბაკარაძემ ყურადღება გაამახვილა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული დევნილთა უფასო-პროფილაქტიკური გამოკვლევების წარმატებებსა და ზუგდიდში ახალი სამედიცინო ცენტრის გახსნის დადებით შედეგებზე.

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ბასარიამ დევნილ მოსახლეობას გააცნო იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი თანხებით სამეგრელოში დაგეგმილი ბიზნეს-პროექტები, რომლებშიც დევნილი მოსახლეობა დასაქმდება.

ეკონომიკის მინისტრმა მურმან ფარფალიამ აფხაზეთის მთავრობის ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებზე ისაუბრა. ასევე აღნიშნა ბიუჯეტში დარჩენილი თანხების დევნილებისთვის გადანაწილების თაობაზე, რომელიც აფხაზეთის მთავრობაში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად იქნა მოპოვებული.

სხდომა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დევნილებთან დიალოგის ფორმატში გაგრძელდა.

ვახტანგ ყოლბაიას განცხადებით, აფხაზეთის მთავრობას მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა აქვს სამეგრელოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, დევნილთა სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დევნილთა წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

ბატონ ლევან შონიას ინიციატივა რეგიონალური შეკრების შესახებ, ჩვენი მინისტრების მონაწილეობით, მართლაც საუცხოო წინადადებაა ჩვენთვის. დღევანდელ სხდომაზე ყველა პრობლემაზე საუბრის საშუალება მოგვეცა. სათქმელი და გადასაწყვეტი საკითხები კი ბევრი გვაქვს. ჩვენმა წარმომადგენლობამ ძალიან საქმიანი და მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა არა მარტო ადგილობრივ ხელისუფლებასთან, არამედ ამ რეგიონის მუნიციპალიტეტების ყველა წარმომადგენლობასთან, რაც მჭიდრო და საქმიანი თანამშრომლობის საწინდარია. დღეს ძალიან ბევრ საკითხს შევეხეთ, გამოიყო თემები, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გადაწყდეს. ამავე დროს განვიხილეთ უმნიშვნელოვანესი პროექტის პერსპექტივები, რომლის პრეზენტაცია დღეს ბატონმა სოზარ სუბარმა მოახდინა. პროექტი დევნილთათვის 2 500 ბინის მშენებლობას გულისხმობს. ამ პრეზენტაციას ზუგდიდელებთან ერთად ყველანი ვესწრებოდით, რომლის მიხედვითაც 2016 წლისთვის ზუგდიდში დევნილთა ბინით უზრუნველყოფის საკითხი პარაქტიკულად გადაწყდება. რა თქმა უნდა, არის ბევრი სოციალური პრობლემა, რომლის მოგვარებასაც ვფიქრობ, ერთობლივი მუშაობით შევძლებთ“,–განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

# დავით უსუფაშვილი: ეროვნული სირცხვილია, როცა პოლიციის თანამშრომელი დანაშაულს ჩადის



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ გია სოსანაშვილთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ ეროვნული სირცხვილია, როდესაც პოლიციის თანამშრომელი ასეთ „საზარელ დანაშაულს“ ახორციელებს.

„ბოლო კვირების განმავლობაში, რა თქმა უნდა, მთავარი თემა, რომელზეც მოქალაქეები, ხელისუფლება, ყველა განურჩევლად პოლიტიკური კუთვნილებისა, ვართ შოკირებული და შეძრული, ეს იყო იური ვაზაგაშვილის მკვლელობა, რომელიც თავისი ფორმით და განხორციელების გზებით იყო არა მხოლოდ დანაშაული, არამედ არაადამიანურობის მწვერვალი. როგორც პროკურატურიდან ჩვენ გვამცნეს, დაკავებულია პიროვნება, რომელიც ბრალდებულია ამ დანაშაულის ჩადენაში. თუ ეს დადასტურდება სასამართლოს მიერაც, ეს ერთის მხრივ იქნება ძალიან მნიშვნელოვანი საქმის გახსნა და ამის გამო, რა თქმა უნდა, ყველას, ვინც იღვაწა და გააგრძელებენ შრომას, დიდი მადლობა ეკუთვნით. მაგრამ მეორე მხრივ, ეს არის ეროვნული სირცხვილი. როდესაც პოლიციის თანამშრომელი ნაცვლად იმისა, რომ იცავდეს ადამიანის უფლებებს, გეგმავს და ახორციელებს ასეთ საზარელ დანაშაულს“,–თქვა უსუფაშვილმა.

„საქართველოს პროკურატურის მიერ, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში აფეთქების შედეგად მოკლული იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ჩამდენი პირი დაკავებულია. კერძოდ, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად დაკავებულია პოლიციის თანამშრომელი გია სოსანაშვილი. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2015 წლის 20 იანვარს, ახლობლის დაკრძალვაზე, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში ჩასული იური ვაზაგაშვილი მივიდა საკუთარი შვილის ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავზე, სადაც იგი სასაფლაოზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. გამოძიების მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული იქნა საფლავზე აფეთქებული ხელყუმბარის ნაწილი ე.წ. „ფალიის სახელური“, რომელზედაც ჩატარებული ექსპერტიზით აღმოჩენილი იქნა ადამიანის დნმ-ის კვალი.

გამოძიებით გადამოწმდა მობილური სატელეფონო ოპერატორების მომსახურე ანძებზე დაფიქსირებული აბონენტების ვინაობა, დაიკითხა ათეულობით მოწმე, განისაზღვრა დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირთა წრე, რომელთა მიმართ საქართველოს შსს-ს გენერალური ინსპექციისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილი და დაკავებული იქნა პოლიციის თანამშრომელი გია სოსანაშვილი, რომელიც, როგორც გამოძიებით დადგინდა, 2015 წლის 19-20 იანვარს იმყოფებოდა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილას ტერიტორიაზე და რომლის დნმ-ი გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დაემთხვა შემთხვევის ადგილიდან (ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავი) ამოღებულ ასაფეთქებელი მოწყობილობის ფალიის სახელურზე აღმოჩენილ დნმ-ს. ამდენად, უტყუარად შეიძლება ითქვას, რომ იური ვაზაგაშვილი მოკლული იქნა გია სოსანაშვილის მიერ საფლავზე დამონტაჟებული ხელყუმბარის აფეთქების შედეგად. საქმეზე გრძელდება გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 14 წლამდე ვადით“, -ნათქვამი იყო პროკურატურის განცხადებაში.

ინტერვიუ

# საზოგადოებასთან ერთად მეტი ვალდებულება გვეკისრება

## გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი



1

შემოსული 1047 განაცხადიდან დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა 366 პირის 766 განაცხადი, შესაბამისად, 524 განმცხადებლიდან პირველი ეტაპი გადალახა და მეორე ეტაპზე - ტესტირებაზე დაშვებულიქნა 366 კანდიდატი. ტესტირება გაიარა 286-მა კანდიდატმა, რომელთაგან დადგენილი ბარიერი გადალახა და კონკუსის მესამე ეტაპზე–გასაუბრებაზე დაშვებულიქნა 177 კანდიდატი, მათ წილად 372 განაცხადი მოდის. კონკურსის მესამე ეტაპზე–გასაუბრებაზე 177 კანდიდატიდან გამოცხადდა 129 და დასკვნით ეტაპზე კომისიას სწორედ ამ პირთა 194 განაცხადი აქვს შესაფასებელი. ამ დროისთვის მიმდინარეობს გასაუბრების პროცესში კანდიდატთა მიერ მიღებული ქულების შეჯამება და საკონკურსო-საატესტაციო კომისია თებერვლის ბოლომდე გამოაცხადებს საბოლოო შედეგებს.

ეს, შედარებით მოკლედ, რაც შეეხებოდა, საჯარო კონკურსების განვლილ ეტაპებს, დეტალური სტატისტიკური და ასევე სხვა სახის ინფორმაცია ნებისმიერ პირს შეუძლია იხილოს გამგეობისა და საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ეს პროცესები გამჭვირვალედ მიმდინარეობდეს. კონკურსების არც ერთ ეტაპზე საჯაროობის კუთხით არანაირი შეზღუდვა არ დაწესებულა. კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კვალიფიციური სპეციალისტები, ასევე საქართველოს პროფესიული კავშირებისა და საზოგადოების დამოუკიდებელი წარმომადგენლები. ტესტირებისა და გასაუბრების ყველა ეტაპს ასევე ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც.

რაც შეეხება შედეგებს და დარჩენილ ვაკანსიებს–კონკურსის მესამე ეტაპისთვის უკვე გამოიკვეთა რამოდენიმე ვაკანსია, რომლებიც კანდიდატთა მიერ ბარიერის გადაულახაობის გამო შეუვსებელი რჩება. მიმდინარე კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში ხელახლა გამოცხადდება კონკურსი იმ თანამდებობებზე, რომლებზეც კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდება.

***ვიდრე ახალ პროექტებზე ვისაუბრებდეთ, თუ გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინვესტორები ორიენტირებულნი იქნებიან ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე. როგორი იყო გასული წელი, როგორ შეაფასებდით მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს?***

–გასული წელი მნიშვნელოვანი და ასევე დატვირთული იყო ყველა მუნიციპალიტეტისთვის. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე განხორციელებული რეორგანიზაციებისა და ახალი სტრუქტურული მოწყობის პარალელურად, დატვირთულ რეჟიმში გვიწევდა ყველა იმ პროექტის გაგრძელება და განხორციელება, რაც დაწყებული იყო იმ ეტაპისთვის. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ გასული წელი წარმატებული იყო, თუნდაც იმ კუთხით, რომ გარდა გასულ წელს განხორციელებული პროექტებისა, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პირველად გაიწერა წლების მიხედვით განსახორციელებელი სამუშაოების ნუსხა, რაც მუნიციპალიტეტის მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ განვითარებას უზრუნველყოფს.

განსაკუთრებული აქტივობაა გამოხატული კერძო ინვესტიციების შემოდინების კუთხით. ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტორებისა და შესაბამისად მოსალოდნელი ინვესტიციების მოცულობა, წინასწარი გათვლებით უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია 15 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიციის მოზიდვა, რაც შესაბამისად 600-მდე ახალი სამუშაო ადგილია. მინდა აღვნიშნო, რომ მოსალოდნელი ინვესტიციების 80% მოდის სოფლის მეურნეობაზე, მათ შორის, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ტრადიციულ კულტურებზე, კერძოდ: დაფნის პლანტაციებისა და თხილის ბაღების გაშენებასა და მებოსტნეობის განვითარებაზე. ასევე, იგეგმება სამშენებლო მასალების, თაბაშირ-მუყაოს, სიმინდის ზეთის წარმოება. ინვესტორებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგად წინა პლანზე წამოწეულია ადგილობრივი მუშახელის დასაქმება და უფრო მეტიც, ეს მუნციპალიტეტის მხრიდან ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ასე, რომ, მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ინვესტორების მიერ დასაქმებული მუშახელიდან ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წილი 85-90% იქნება.

***წელს, როგორც ვიცი, ახალი პროექტები უნდა განხორციელდეს. რა მნიშვნელოვანი პროექტებია გათვალისწინებული?***

–როგორც აღვნიშნეთ, რეგიონის მასშტაბით შედგა რეგიონის განვითარებისთვის უახლოეს წლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა. მათ შორის, ხობის მუნიციპალიტეტში 2015 წლისთვის დაიგეგმა და მომზადდა დოკუმენტაცია არაერთი პროექტის განსახორციელებლად. ესენია: ხეთისა და თორსადღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნა (კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოების პირველი ეტაპი);

სასოფლო გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაციის, სანიაღვრე არხების წყალგამტარუნარიანობის აღდგენისა და ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით სპეცტექნიკის შეძენა;

ქ. ხობის ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოები, რომლის ფარგლებში მზადდება პროექტი ქალაქის უკლებლივ ყველა გზის მოასფალტებისთვის, ხოლო მიმდინარე წელს მათგან ხუთს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია;

ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ქ. ხობის №1 და №2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით პროექტების მომზადება და მის საფუძველზე წელსვე №2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოებისა, დაგეგმილია გასულ წელს სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია, კერძოდ: ახალ ხიბულაში, ძველ ხიბულაში, საჯიჯაოში, პირველ მაისსა და ბიაში ხიდების, ხიდბოგირებისა და მათთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და გურიფულის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები.

***ქვემო ქვალონის სკოლის მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება? მთლიანად აშენდება, თუ კორპუსის მიშენება მოხდება?***

–საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, ქვემო ქვალონის სკოლის მშენებლობა, სამინისტროს მიერ ჩვენს რეგიონში დაგეგმილ სხვა პროექტებს შორის პრიორიტეტულია და საკითხი უახლოესი პერიოდისთვის დადებითად გადაწყდება. იგეგმება სკოლის სრულიად ახალი კორპუსის მშენებლობა.

***ბატონო გოჩა, საცურაო სპორტული კომპლექსის აღდგენაზეა საუბარი. რა მდგომარეობაა ამჟამად ამ კუთხით?***

–საცურაო კომპლექსის აღდგენა ჩვენთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მიმდინარეობს მუშაობა საცურაო კომპლექსისა და მუნიციპალიტეტში არსებული სხვა სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით. გარდა საცურაო კომპლექსისა, მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან საკუთრებაში გადმოეცა კინოთეატრ „თუთარჩელას“ შენობა, სადაც იგეგმება მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მოწყობა. აღსანიშნავია, რომ საცურაო კომპლექსის აღდგენა საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და წინასწარი გათვლებით, სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის სავარაუდოდ, აუცილებელი იქნება მინიმუმ 8-10 მილიონი ლარი, რისი შესაძლებლობაც მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. სათანადო დოკუმენტაციის თანდართვით საკითხი დასმულია შესაბამისი სამინისტროების წინაშე სპორტ-კომპლექსის აღსადგენად და იმედია, უახლოეს პერიოდში საკითხი დადებითად გადაწყდება.

***წელს სოფლის მეურნეობის სამ ეტაპიანი სამთავრობო პროგრამის ბოლო ეტაპი იწყება, როგორ ემზადება მუნიციპალიტეტი პროგრამის წარმატებით დასამთავრებლად?***

–სოფლის მეურნეობა მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამ დარგის განვითარების საკითხი კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებში მნიშვნელოვან ადგილს სწორედ ამ მიზნით იკავებდა. უპირველესად, მოსახლეობასთან კომუნიკაცია შეიცვალა და უფრო ინტენსიური გახდა. საზოგადოებას ზედმიწევნით ვაწვდით ინფორმაციას ყველა იმ სიახლესა და პროექტის მიმდინარეობაზე, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს. მიმდინარე პროექტთაგან მნიშვნელოვანია „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“, რომელიც ორი წელია წარმატებით ხორციელდება და ათიათასობით ჩვენს მოქალაქეს მოუტანა სარგებელი. მიმდინარე წელს ამ პროექტის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 8000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დამუშავდება, ბენეფიციართა გარკვეული ნაწილი კი მიიღებს აგრობარათებს სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სათესლე მასალის შესაძენად. პროექტის ღირებულება 2015 წლისთვის 1,6 მილიონ ლარს შეადგენს.

გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური აქტიურად არის ჩართული პროექტის განხორციელების პროცესში. ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან ერთად შუალედურად მიმდინარეობს სიების დაზუსტება და კორექტირება, შესასრულებელ სამუშაოთა გეგმა-გრაფიკების შედგენა. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ პროექტი წარმატებით და აგროვადებში განხორციელდეს.

***თუ არის ისეთი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა აქილევსის ქუსლი გაუხდა მუნიციპალიტეტს?***

–რაც შეეხება პრობლემებს და მათ შორის გადაუჭრელ პრობლემებს, თავისთავად მრავლადაა. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი ნაპირსამაგრი სამუშაოებია, რაც კოლოსალურ თანხებს მოითხოვს და ადგილობრივ ბიუჯეტს ამის შესაბამისი რესურსები არ გააჩნია. პრობლემა კი წლითი-წლობით მატულობს და მდინარეებისპირა მოსახლეობას სერიოზულ ზიანს აყენებს. ანალოგიურ პრობლემას წარმოადგენს მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრები ოჯახებისთვის ახალი საცხოვრებელი სახლების აშენება.

არის პრობლემები, რომელთა გადაჭრა ეტაპობრივად ხორციელდება, ჩვენ ვართ აგრარული ქვეყანა და ჩვენი სტატუსი ხელოვნურად ვერ შეიცვლება, ამიტომ ჩვენი მიზანია, ამ სტატუსის კიდევ უფრო გაძლიერება, ძლიერი სოფლის შექმნა, კოოპერაციების ტრადიციების დანერგვა, სერიოზული გარდატეხის მოხდენა სოფლის მეურნეობის შეუქცევადი განვითარებისათვის და ყველაფრის გაკეთება, რაც ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას გაზრდის.

***და ბოლოს, რით დააიმედებთ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რა დახმარებას უნდა ელოდნენ ისინი მუნიციპალიტეტიდან, რაიმე სიახლე ხომ არ იგეგმება?***

–განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული სოციალური პროგრამების წინ წამოწევაზე. 2014 წლიდან მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, ას წელს გადაცილებულ მოქალაქეთა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება 100 ლარიდან 150 ლარამდე გაიზარდა, დევნილთა დაკრძალვის ხარჯები–60-დან 100 ლარამდე, ახალშობილთა ოჯახების დახმარება, რომელიც ყოველ ახალშობილზე 100 ლარს შეადგენდა, მესამე შვილის შეძენიდან ყოველ ახალშობილზე 300 ლარით განისაზღვრა, სოციალურ პაკეტში დამატებით იქნა გათვალისწინებული დიალეზზე მყოფი ავადმყოფებისთვის ყოველთვიური დახმარება. დამეთანხმებით, 2014 წელს ამოქმედებული პროგრამები სერიოზული შეღავათებია სოციალურად შეჭირვებული და გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვის. გარდა ზემოთ, ჩამოთვლილისა, 2015 წლისთვის 40000 ლარი იქნა გათვალისწინებული სოციალურად დაუცველთა ავარიული საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად. ვფიქრობთ, სამომავლოდ ამ თანხის გაზრდასაც.

***რა გინდოდათ გეთქვათ და მე ვერ მივხვდი...***

–ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა მუნიციპალიტეტთან და მის მოსახლეობასთან არის დაკავშირებული და მათი ყოველდღიური საზრუნავი და პრობლემა, რაც დასაქმებასთან არის დაკავშირებული, ჩვენთვის ასევე უპირველესი საზრუნავია. ამ კუთხით სერიოზული ნაბიჯები იდგმება და ის აქტივობაც, რაც კერძო ინვესტიციების შემოდინებასთან არის დაკავშირებული, მნიშვნელოვან გარდატეხას მოახდენს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. ამასთან, მინდა საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობა საკანონმდებლო დონეზე გეგმავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებას და გააქტიურებას. ბუნებრივია, ჩვენც, საზოგადოებასთან ერთად, მეტი ვალდებულება დაგვეკისრება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის, ერთობლივად საქმიანობის პროცესში.

მსურს, მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს კიდევ ერთხელ ვუსურვო წარმატებები.

**ესაუბრა**
**მერი ლაგვილავა**

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით დასუფთავების აქცია დაიწყო



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ინიციატივით მუნიციპალიტეტის მაშტაბით დაიწყო დასუფთავების აქცია, რომელსაც შეუერთდნენ საკრებულოს ბიუროს წევრები, საკრებულოს აპარატის მოხელეები და შპს „ხობი დასუფთავება და განათების" თანამშრომლები. პირველ ეტაპზე დასუფთავდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის მონაკვეთი, კერძოდქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია. ეს აქცია მიიღებს მრავალჯერად ხასიათს და მომავალშიც დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიაზე მყარი ნარჩენების შეგროვება-დასუფთავება.

## ქვემო ქვალონის მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივა



4 თებერვალს ქვემო ქვალონის-მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო-კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ალექსანდრიას ინიციატივით, საკუთარი სახსრებით ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში-საფუძველი ჩაეყარა საბავშვო საესტრადო სიმღერების შემსწავლელი სტუდია „ანბანას" შექმნას, სადაც 7-დან 14 წლამდე ბავშვები უსაყიდლოდ შეისწავლიან საესტრადო სიმღერებს და ასევე დაგეგმილია სამეჯლისო სპორტული ცეკვების სწავლება. სტუდიას უხელმძღვანელებს ფოთის საესტრადო სტუდია „ანბანას" ხელმძღვანელი მარტინ ღამბარაშვილი.

## კონფერენცია ხობის მონასტერში



ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლის ლოცვა-კურთხევით ხობის მონასტრის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა კონფერენცია ხობისმონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ, რაზეც მოხსენება გააკეთა არქეოლოგმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა რევაზ პაპუაშვილმა. კონფერენციას ესწრებოდნენ ფოთისადა ხობის მინტროპოლიტი მეუფე გრიგოლი, ხობის მონასტრის წინამძღოლიდეკანოზი მამა ილია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. მომხსენებელმა რ. პაპუაშვილმა ფოტოსლაიდების სახით წარმოადგინა ხობის მონასტრის ტერიტორიაზე 2008 წლიდან დღემდე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი მასალები და ისაუბრა, რომ მონასტრის ტერიტორიაზე გათხრებისას აღმოჩენილიქნა ძვ. წ. აღ-ის VIII–VII საუკუნებით დათარიღებული ძველი კოლხური ნამოსახლარები, ადრექრისტიანული ხანის ნაეკლესიარები, ტაძრის შიგნით გამოვლინდა ძველდ ადიანთა (ცოტნე დადიანის (VIIIს.) საოჯახო საძვალე. მისი განმარტებით, თვით ტაძარი მდგარა გაცილებით უფრო დიდ ნატაძრალზე, რომელიც ძვ. წ. აღ-ის X-XI საუკუნით თარიღდება, ტაძრის დასავლეთით არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ძვ. წ. აღ-ის VIII-IX ს. ნაგებობათა ნაშთები, რომლის ქვეშ სხვა ნაგებობის ნაშთებიც აღმოჩნდა. ასევე მოხსენებით გამოვიდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ძეგლთა დაცვის საკითხებში გოგიტა ჩიტაია, რომელმაც კულტურული სიწმინდის სიძველეების დაცვაზე ისაუბრა. დასასრულს მეუფე გრიგოლმა დალოცა და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელისუფლებას გაწეული თანადგომისათვის, ხოლო არქეოლოგ რ. პაპუაშვილს და გ. ჩიტაიას გაწეული არქეოლოგიურისაქმიანობისათვის.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციები

## ქველმოქმედის დახმარება კუკავების ოჯახს



ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ ხამისკურში მცხოვრებ მერაბ კუკავას ოჯახში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს.

კუკავების ოჯახი სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნება. მათი საცხოვრებელი სახლის ნაწილი, სიძველის გამო ძლიერმა წვიმამ და ქარმა ჩამოანგრია. ავარიულ სახლში მცხოვრები ექვსსულიანი ოჯახი დახმარებას ითხოვდა. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი დაზარალებულ ოჯახს შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას დაპირდა. მისი დავალებით ადგილზე გავიდა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური, აღიწერა სახლის მდგომარეობა და დადგინდა, რომ შენობა საცხოვრებლად უვარგისობის გამო მცხოვრებთათვის საფრთხეს წარმოადგენდა. ოჯახის ახლობლების და ქველმოქმედი ადამიანების დახმარებით აშენდა სახლის კედლები, რომელიც გადახურვას მოითხოვდა.

შპს „კარიერის" გენერალურმა დირექტორმა თამაზ ბასილაიამ დაზარალებულ ოჯახზე ინფორმაციის მიღებისთანავე დახმარების სურვილი გამოთქვა და სახლის გადასახური მასალა, სხვა სამშენებლო მასალებთან ერთად დაზარალებულ ოჯახს საჩუქრად გადასცა. კუკავების ოჯახი, მათი ახლობლები და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა თამაზ ბასილაიას და ყველა ქველმოქმედ ადამიანს მადლობას უხდის კეთილი საქმისთვის.

## საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი დაიწყო



ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია „სოფელ ნოჯიხევში მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის" ფარგლებში ხვნა-თესვის ბარათების დარიგებას დაესწრო. გამგებელი მოსახლეობას პროექტთან დაკავშირებით გაესაუბრა და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია სოფელ ნოჯიხევში „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის" ფარგლებში ხვნათესვის ბარათების დარიგებას დაესწრო. გამგებელი მოსახლეობას პროექტთან დაკავშირებით გაესაუბრა და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა.

ხობის მუნიციპალიტეტში 2015 წელს ხვნათესვის ბარათს სულ 11 803 ბენეფიციარი მიიღებს, რომლის ღირებულებაც დაახლოებით 1400000 ლარს შეადგენს.

გასული წლებისგან განსხვავებით, წელს ფერმერები დახმარებას შეცვლილი სახით მიიღებენ.

–ბენეფიციარები, რომლებსაც გააჩნიათ 0.25 ჰექტარიდან 1.25 ჰექტარის ჩათვლით სახნავი მიწის ფართობი მიიღებენ მხოლოდ ხვნის ბარათს, 1 ჰექტარზე 140 ლარის გაანგარიშებით.

–ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ 0.25-მდე მიწის ფართობი, წელს ისარგებლებენ 50 ლარიანი აგრო ბარათით.

–ბენეფიციარები, რომლებიც 0.25 ჰექტარიდან 1.25-ჰა-ს ჩათვლით მიწის ფართობს იყენებენ მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის მიიღებენ 1ჰა-ზე 140 ლარის ოდენობის სასოფლო სამეურნეო საქონელს.

„აგრო ბარათით" მომსახურებას ფერმერებს 2015 წელსაც „ლიბერთი ბანკი" გაუწევს. პლასტიკური ბარათით ფერმერს შესაძლებლობა ექნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის შეძენა (სასუქები, სათესლე, და სანერგე მასალა, მცენარეთა მოვლის საშუალებები) ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მომწოდებლისგან მიიღოს. ნიადაგის ხვნის სამუშაოებს შპს „მექანიზატორი" და კონტრაქტორი კომპანიები უზრუნველყოფენ. სამგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აღნიშნულ პროეტში 2015 წელს მონაწილებას 99 394 ბენეფიციარი მიიღებს.

„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშოების ხელშეწყობის პროექტი" თებერვლიდან დაიწყება და 1 დეკემბერს დასრულდება.

## გორგასლის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები



ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ზაზა ბუკიამ ქ. ხობში გორგასლის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს. გორგასლის ქუჩაზე მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საფარის კაპიტალური მოწყობის სამუშაოები, რომელსაც შპს „შარაგზამშენი პირველი" ასრულებს. მიმდინარე სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება 454984 ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე შესრულებულია სამუშაოების 30%. ასფალტ-ბეტონის საფარის კაპიტალური მოწყობითი სამუშაოები ამა წლის მარტში დასრულდება.

WWW.khobi.ge

## სოფელი

*ყოველ წელს თავისებური სიძნელეები და სირთულეები ახლავს, მაგრამ ადამიანები იმედისმომცემი დღეების მოლოდინში არიან და ხშირად კიდევაც უმართლებთ. ხვალ რა იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს.*

*ამ ბოლო წლებში ბევრი სიახლე იყო ქვეყნის სამედიცინო მომსახურებაში, განათლების სისტემაში, სოფლის მეურნეობაში...*

*ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევამ ძალიან ბევრ ადამიანს შვება მოგვარა, იმედია, ის უფრო და უფრო დაიხვეწება. ასევეა განათლებაშიც... თითქმის ყოველ დღეს სიახლე მოაქვს.*

*2013–2014 წლებში აგროსექტორში ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უფასო ხვნა-თესვის პროგრამა იყო, ქვეყნის ხელისუფალთა ხელშეწყობით ადამიანებმა შესძლეს დამატებით ის მიწებიც დაემუშავებინათ, რომლებიც ადრეც ჰქონდათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ მის დამუშავებას. გასული წელი საკმაოდ მოსავლიანი გამოდგა, მიმდინარე წელი ამ პროგრამის ბოლო ეტაპია. მომავალი წლისათვის, ალბათ, ახალი პროექტები და ახალი პროგრამები დაიგეგმება. მთავარია, მიზანმიმართული შრომა და რწმენა, რომ ხალხის კეთილდღეობა გაუმჯობესდება.*

*გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია გამგებლის წარმომადგენელი ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში* **გია გვაძაბია**. *ის გვესაუბრება სოფელი თუ როგორ უწყობს ფეხს ქვეყნის დღევანდელ მოთხოვნებს. რა იყო ქვალონი წარსულში და როგორია ის დღეს. რომ დღევანდელობამ განსაზღვროს ქვეყნის ხვალინდელი დღე.*



# „უნდა ვაკეთოთ კეთილი საქმე სოფლისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ“

ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული, ხობის მუნიციპალიტეტის დაბალ ზონაში ჭალადიდის შემდეგ ერთ-ერთი დიდი სოფელია, როგორც ტერიტორიულად, ასევე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ.

ლეგენდის მიხედვით, ძველად, როდესაც ეს ტერიტორია უსახელო და დაუსახლებელი იყო, ახლანდელი ზემო ქვალონის ტერიტორიაზე, იქ, სადაც ეკლესიაა, მწყემსებს თეთრი ქვის საბადო აღმოუჩენიათ და ამ ადგილისთვის „ქუალონი“–ქვიანი ადგილი დაურქმევიათ.

ახლანდელი ქვალონის ტერიტორია გაუვალი ტყითა და ჭანჭრობით ყოფილა დაფარული. როგორც ჩანს, ქვალონის წარმოშობასა და განვითარებაზე დადებითი როლი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი–ფოთის სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანამ ითამაშა. თითქმის ორი საუკუნეა ქვალონის რკინიგზა დიდ როლს თამაშობს, როგორც სოფლის, ასევე ამ მაგისტრალზე მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღეობაზე. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალია ამ ზონის მოსახლეობისთვის.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქვემო ქვალონში პირველად ნიკო თურქიას, ქუთულა ჭანტურიას, ბათაყვა და მიქელა ჭანტურიებს და გლახუა გრიგოლიას ოჯახები დასახლებულან. ახლა ქვალონში სხვადასხვა გვარის 913 კომლია 3010 მოსახლით. სოფელი გამორჩეულია მოსახლეობით, ცხოვრების წესითა და განათლების დონით.

ქვემო ქვალონში ძირითადად საუკუნეებია მესაქონლეობასა და მარცვლეული კულტურების მოყვანას მისდევენ. ხალხი შრომისმოყვარეა. შრომას თან ყოველთვის ბარაქაც ახლავს ხოლმე.

გლეხკაცს შეუძლია ასობით ჰექტარი ფართობის დამუშავება, მაგრამ ათეული წელია მიწის ფართობები სოფელში სანახევროდ არ მუშავდებოდა, საჭირო ტექნიკისა თუ თანხების უქონლობის გამო, მაგრამ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, გლეხმა შეძლო დაემუშავებინა საკუთარი ის ნასვენი მიწაც კი, რომელსაც წლები ვერ ამუშავებდა. დღეს გლეხს უფრო მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება. მას უნდა შეეძლოს მინერალური სასუქის ყიდვა ხელმისაწვდომ ფასად, რაც ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. სამუშაო ადგილები რომ იყოს და ახალი თაობაც დასაქმდეს, იმედია, ცხოვრება უფრო საინტერესო იქნება და თითოეული ოჯახი უფრო შეძლებული, ხვავიანი. თუ ოჯახი ძლიერია, სოფელიც ძლიერია. თუ სოფელია ძლიერი, ქვეყანაც ძლიერია. ასე, რომ საჭიროა ხალხზე მეტი ზრუნვა, რაც ქვეყნის სიძლიერის ნიშანია.

მიმდინარე სამეურნეო წელი სამწლიანი პროგრამის ბოლო ეტაპია. ამ პროგრამამ გლეხს მუშობის სტიმული მისცა, მან შესძლო არამარტო მიწის მცირედი ნაწილის, არამედ წლობით დაუმუშავებელი მიწების დამუშავება. რაც ტექნიკის მომსახურებით იქნა შესაძლებელი. ხალხს დაურიგდა ბარათები, სადაც თანხა იყო ჩარიცხული მიწის დასამუშავებლად, საჭირო ხელსაწყოების შესაძენად. ამ ეტაპზე–წელს ეს პროგრამა დამთავრდება, მაგრამ იმედია, ხელისუფლება კვლავ მოიფიქრებს ხალხის საკეთილდღეოდ ახალ ისეთ პროგრამას, რაც გლეხკაცს არსებობის შესაძლებლობებს გაუმარტივებს.

ქვალონში ფუნქციონირებს ორი სკოლა–№1 საჯარო სკოლა (დირექტორი ლუარა ყალიჩავა) და №2 საჯარო სკოლა (დირექტორი ცისანა ცხადაია).

ქვემო ქვალონელთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ წელს დაიწყება №1 საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა. ამ დროისთვის ის განხილვის პროცესშია.

სოფელში არსებობს საექიმო ამბულატორია, რომელსაც ყოველთვის კარგი მედიკოსები ემსახურებოდნენ და ამჟამადაც. დღეს მას ორი ექიმი ემსახურება–ექიმი თერაპევტი ირინა გრიგოლია და პედიატრი ლეილა კაკულია. ორი მედდა რუსუდან ბანცაძე და დემაგულ გაგუა. ეს ადამიანები კეთილსინდისიერი მუშაობით მოსახლეობის პატივისცემას იმსახურებენ. საექიმო ამბულატორიაში აღრიცხულია ყველა ახალშობილი, მათ დროულად უტარდებათ საჭირო აცრები.

ქვემო ქვალონის საბავშვო ბაგა-ბაღი (მთავარი სპეციალისტი ელიანორა პაპავა) გასულ წელს ორი ჯგუფით–2–3 წლიანებით (26 აღსაზრდელით) და 5–6 წლიანებში–26 აღსაზრდელით იყო დაკომპლექტებული. აქ შექმნილი იყო 3–4 წლიანთა პოლონური ჯგუფიც, რომელიც ფინანსდებოდა საერთაშორისო ასოციაცია „კივიტასგეორგიკა ვიშეგრადის“ ფონდის მეშვეობით. ახალი, 2015 წლიდან კი ბაღი ხობის მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე გადავიდა.

სოფელში მრავალი კერძო მეწარმეა. მათ შორის პურსაცხობი „ირაკლი“, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობას პურით ამარაგებს და რაც მთავარია, აქ ქვალონელები არიან დასაქმებულნი.

ასევე ფუნქციონირებს შ.პ.ს. „გეოგერაგრო“ (მენეჯერი ირინა ზანთარაია). შარშან მათ 12 ჰექტარი მიწა დაამუშავეს, სადაც 15 ადამიანი იყო დასაქმებული და გასამრჯელოსაც ნორმალურს იღებდნენ.

მათ ერთწლიანი კულტურებიდან სიმინდი და სოია მოჰყავთ.

50 ქვემოქვალონელი დაასაქმა შ.პ.ს. აგროკულტურამ (მენეჯერი პაატა სირაძე). ქვალონის ტერიტორიზე მას შესყიდული აქვს 50 ჰექტარი მიწის ფართობი. დათესილი ჰქონდა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები (ნესვი, საზამთრო...). წელს აღნიშნული შ.პ.ს. 350 ჰექტარზე მეტი ფართობის დამუშავებას აპირებს. დაწყებულია მიწის ფართობების შემოღობვა-შემოკავება. იმედია, დასაქმებულთა რაოდენობაც გაიზრდება.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი თანხა უნდა იქნეს გამოყენებული სოფლის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროების დასაფინანსებლად. შესრულებული სამუშაო მიმართული უნდა იყოს მხოლოდ საჯარო სარგებლობის ობიექტებისადმი. მას უნდა გააჩნდეს ხანგრძლივი გამოყენების ეფექტი და სამუშაო უმთავრესად შესრულებული უნდა იქნეს სოფლის მოსახლეობის მიერ.

აქედან გამომდინარე, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 2013 წელს ჭითაუშკურის უბანში აშენდა მოსაცდელი, გვიმარონის უბანში მოხდა გზის ორმული შეკეთება და ქვალონის კულტურის სახლს რემონტი გაუკეთდა.

2014 წელს ჭითაუშკურის, ბულიშის, დურღენისა და გიმოზგონჯილის უბნებში ამოწმენდილი იქნა სანიაღვრე არხები. გვიმარონის უბანში წყალსადენის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა.

2015 წელს ისევ გვექნება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული თანხა, რომელსაც სოფლის მოსახლეობასთან ერთად იმ საქმეების შესრულებას მოხმარდება, რომლის აუცილებლობასაც ხალხი შეამჩნევს.

ბედნიერი ვიქნები, როცა ჩემი სოფლის მოსახლეობას მათი შვილების კეთილდღეობისა, უკეთესი მომავლისთვის ნორმალური პირობები ექნებათ...

ჩემი სურვილია, ვაკეთო კეთილი საქმე სოფლისა და საქართველოს საკეთილდღეოდ.

**მოამზადა ნანი კილასონიამ.**



## „დ ე დ ა ე ნ ა“

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

# „ქართული ენაშია ჩვენი ქართველობა“

*ხანმოკლე შესვენების შემდეგ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კვლავ ვაგრძელებთ რუბრიკას „დედა ენა“.*
*დღევანდელი ნომრის სტუმრები არიან ფილოლოგები: ირაკლი სიჭინავა (ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლა) და ქალბატონი ნინო ცხადაია (პირველი მაისის საჯარო სკოლა), რომლებიც ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე, საინტერესოდ გვპასუხობენ.*

**1. მშობლიური (ქართული) ენა–რას იტყვით მის შესახებ, როგორია მისი წარსული, აწმყო, როგორ ხედავთ მის მომავალს?**
**2. საიდან უყვარდება, ვინ უნდა შეაყვაროს და როგორ უნდა შევაყვაროთ მშობლიური ენა ბავშვებს, რა ასაკიდან უნდა დაიწყოს მისი სწავლება?**
**3. თუ გამოყოფდით ენის განვითარების ისტორიაში ყველაზე ცუდ და აღმავლობის პერიოდებს. დღეს რა მდგომარეობა გვაქვს?**
**4. თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა მიზეზები იწვევს ენის „გაბინძურებას“?**
**5. რა მდგომარეობა გვაქვს დღეს სკოლებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით, რა პრობლემებს გამოყოფდით? რა წინადადებებს გვთავაზობთ?**
**6. გვყავს თუ არა ქართველებს თანამედროვე იაკობ გოგებაშვილები, ვინ შეიძლება ის იყოს?**
**7. დღეს თუ იწერება და გამოიცემა ქართული საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურა, ჟურნალები, როგორია მათი ხარისხი?**
**8. რა ღონისძიებების გატარება მიგაჩნიათ აუცილებლად ენის გადასარჩენად?**
**9. თქვენი საყვარელი სტროფები მშობლიურ–ქართულ ენაზე.**

## ჩვენი ჭკუა-გონების საყრდენი

1. როგორც ჩვენ, ქართველები, ერთი კონა ია ვართ, საქართველო კი უმშვენიერესი და უჯანსაღესი ნაშობი ზეცისა და დედამიწისა, ჩვენი მშობლიური ძირძველი ენაც, იაიების სურნელებითაა აღსავსე, იგი ერთ-ერთი თავისთავადი დამწერლობაა მსოფლიოში, უმდიდრესი ლექსიკით, ულამაზესი მოხაზულობით, ზოგი ვაზს გავს, ზოგი არწივს, ზოგი დოქს, ზოგი ბულბულს, ხმაძალიანია, მუხლად: ბედაური, მაძღარი, ზათქიანი, ზავთიანი, ტკბილხმოვანი, გამოუცნობი, მარად ტრაგიკული, მარად მშვენიერი, ლაზარე ენა, „წვა და ხედვა“ ქართველობისა. ქართულ ენაზე ყველაფერი გამოითქმება და გადმოითარგმნება. ქართველ კაცს გავს ქართული ენა, რომელსაც ჩვენ სულის და გულის ენას ვეძახით, დედაბოძს ჭეშმარიტი განათლებისას, ერთიანობისას, მთლიანობისას. „ქართული მარტო ენაა!? ქართული–ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა! იმოდენაა“ (მუხრანი).

პატარა ქვეყანა რადგანაც დიდი სატკივარია, მას ყოველთვის უჭირდა; ჩვენს მიწაზე საუკუნეების განმავლობაში უცხო მოძალადე დადიოდა, ამიტომ სხვათა სიტყვათა დამკვიდრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქართული სიტყვის კონაში, რაც ერთობ თავზარდამცემია. გადაშლი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს და გული მოგიკვდება კაცს ბერძნულ, არაბულ, თურქულ-მონღოლურ, სპარსულ, რუსულ ენათა მოძალების შედეგად, ქართული ენის წიაღში სისხლიან დამნაშავეებს რომ წავაწყდებით. დღეს, რადგან რუსიფიკაცია, ამერიკანიზაციამ ჩაანაცვლა, ინგლისურის ერთგვარი ბუმია, მოზღვავებულად მოდის იგი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი უნდა გეკავოს ხელთ, რომ რესპოდენტს, ან ორატორს გაუგო. ამით ის „გვაშინებს“, ხედავ რა მაღლა ვდგავარ, რა ინტელექტს ვაფრქვევო. ის კი არ იცის, რომ როცა ერს ცნების სიტყვა თუ მოეპოვება მშბლიური ენის წიაღში, უცხო სიტყვის შემოტანა, სამშობლოს ღალატია, რადგან საქართველო უკვდავ ერთა ნუსხაში არის შეტანილი, ის მსოფლიოს გლობალიზაციას გადაურჩება და გამოვა ამ მდგომარეობიდან, რუსთველის ენა წყაროსწყალივით სულ ირაკრაკებს, უცხო სიტყვებს ქართული სიტყვის კონა ნიჟარასავით გარიყავს.

2. ჩვენი ჭკუა-გონების საყრდენი და საძირკველი, მწვრთნელი, განმავითარებელი, ჩვენი ურთიერთობების ძირითადი იარაღი არის მშობლიური ენა ანუ დედაენა, ის ენა, რომელსაც ბავშვობიდანვე ვითვისებთ მშობლებისაგან და ახლობლებისგან.

ბავშვის ყურთან იავნანა რომ გაისმის, იქიდან უყვარდება დედაენა. დედამ, შემდეგ მოძღვარმა მოხდენილი, კარგი თხრობით, ზღაპრების მოყოლით, საბავშვო ლექსებით და სიმღერებით უნდა შეაყვაროს ბავშვს მშობლიური, დედაენა. გავიხსენოთ ილიას ბავშვობა, როგორ აფასებს იგი, მოძღვრის კარგ ქართულს, მის მოხდენილ ლაპარაკს. მისი სწავლება კი 7 წლიდან უნდა დაიწყოს. მოსწავლისთვის და მასწავლებლისთვის, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება, შედეგიანობის თვალსაზრისით.

3. „სამშობლო დედაენით იწყება“. ენაშია დაუნჯებული ყველაფერი ის, რაც საუკუნეთა მანძილზე შეუქმნია ერს და მემკვიდრეობით გადასცემია თაობიდან თაობას.

ჩვენს ქვეყანას ბედმა არგუნა განუწყვეტლივ ებრძოლა ფიზიკური არსებობისა და სულიერი მხნეობის შესანარჩუნებლად. რა თქმა უნდა, ქართულ ენას, ამ 27 საუკუნის განმავლობაში თავისთავად ცხადია, ექნებოდა მძიმე და აღმავლობის პერიოდები, ცუდი და მძიმე, როცა მტერი დათარეშობდა, კარგი, როცა ჰქონდა ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური სიძლიერე და სულიერი აღმასვლა. ჩვენი სასიქადულო პოეტი მუხრან მაჭავარიანი წერს: „დავით აღმაშენებლის ხმაზედა დამყნული შოთა რუსთაველის კალამიო“ ენის ბედი სახელმწიფოს ბედზეა დამოკიდებული.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ენას ცუდი პერიოდი დაუდგა. თბილისში, ქართულ წარწერებს მხოლოდ სახაბაზოზე და სამწვადეზე ნახავდით, ქართულად დალაპარაკება სამარცხვინო საქმედ იყო მიჩნეული, ქართულ ენას „პატუა“ ენას უწოდებდნენ და გლეხებს მიუგდეს, მიმდინარეობდა საშინელი რუსიფიკაციის მომენტები; დღეს ამერიკანიზაციამ ინგლისური ენის გაფეტიშება გამოიწვია, უცხო ენის ცოდნა მისასალმებელია, რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო, მაგრამ მუხრანის არ იყო ჯერ „მშობლიურია, მთავარი“. ყველა ბავშვის გონება მშობლიურ ენაზე ვითარდება. მართალია, ენის განვითარება, ქვეყნის განვითარებაზეც არის დამოკიდებული, მაგრამ ქართული ენა 27 საუკუნეა მოიმღერის და „ვინც ერთს ქადაგებს, ვინცა ვინ ენას“, ისევ მუხრანის სიტყვებით ვუპასუხებდი: „კი მაგრამ ღმერთი აღარაა? ბნელა? ქართული ვინმეს მდარე ჰგონია ენა?“.

4. ჩვენ ქართველებს, გვავიწყდება დიდი ილიას ნათქვამი, ან ვერ ვგებულობთ კარგად: ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო, ე.ი. ჩვენი თავის პატრონი ჩვენ ვართო, სხვისი იმედით სახელმწიფო არ აშენებულა და ვერც აშენდებაო.

რაც შეეხება ენის გაბინძურებას ამის მიზეზი ყოველთვის იყო დამოუკიდებლობის დაკარგვა და საუკუნოობით მტრის თარეში მშობლიურ მიწა-წყალზე. ამ უბედურებას ქართველმა კაცმა სისხლიანი დამნაშავეები უწოდა. რუსთაველმა კი სოფლის გასამსალება შეარქვა, ამ გასამსალებულ წუთისოფელში ქართველმა კაცმა იცხოვრა, შეინარჩუნა თვითმყოფადობა, ენა და მშობლიურ ენაზე „ვეფხისტყაოსანიც“ შექმნა. ყველა დამპყრობლის თუ მოკავშირის სურვილია–მემსგავსე მე.

5. დღეს, ერთობ საგრძნობია დროის ნერვული რიტმი და ემოციური სტრესები. წიგნმა დაკარგა საზოგადოებაზე ზემოქმედების ძალა, დღეს სულ სხვა ინსტიქტები და პოლიტიკური ვნებები გაბატონდნენ. ასევე, ზეპირმა სიტყვამ და წერითმა სიტყვამაც დაკარგა ძალა“ (ა. ბაქრაძე) წიგნიერების დონით მსოფლიოში ბოლო ადგილზე ვართ. რაც შეეხება ქართულ ენას, როგორც მეცნიერებას სკოლებში, ფაქტიურად არ ასწავლიან სრულყოფილად. ქართული გრამატიკა დაწყებით კლასებში მწირად შეიტანეს პროგრამაში, დაწყებითის მოსწავლეს ინტელექტუალურად არ ძალუძს დაეუფლოს გრამატიკის სრულ კურსს, რაც შეეხება საბაზო და საჯარო სკოლის სახელმძღვანელოებს ჯერ ენა და მერე ლიტერატურა აწერია, მაგრამ ენა არაა შეტანილი, ფაქტიურად არ ისწავლება, რა წინადადებას გთავაზობთ? აღადგინონ ა. შანიძის და ლ. კვაჭახაძის მორფოლოგიისა და სინტაქსის კურსი მაღალ კლასებში.

6. თანამედროვე იაკობ გოგებაშვილებს, ერის სარანგებს ვერ ვხედავ, მაგრამ უმადური უნდა იყო კაცი, რომ არ თქვა გია მურღულიაზე, სერია „ქართველი მწერლები სკოლაში“ სერიის პროექტისა და წიგნების შედგენის კონცეფციის ავტორზე, ასევე თენგიზ წოწონავაზე.

7. საქართველო წიგნის გამოცემის საქმეში ევროპის ხუთეულში მოხვდა. აქედან, ყველაზე მეტი საბავშვო წიგნები არის გამოშვებული. გამოცემის ხარისხი კარგია, ფასი ძვირი, პერიფერია ყველაფერს მოკლებულია, სოფელი მთლად ცუდ მდგომარეობაშია, წიგნის მაღაზია არ არის მოდაში, თუ არ არის სარფიანი, რაც შეეხება ჟურნალებს, საბავშვო გამოცემებს სულ არ ვიცნობ, ვიცი ლიტერატურული პალიტრა, თუმცა ეს არაა საბავშვო გამოცემის „ცისკარი“ განთიადი“, „ჭოროხი“.

დღეს კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის სივრცეში ვცხოვრობთ, მაგრამ ცოდნის მიღების თვალსაზრისით წიგნი შეუცვლელია.

8. ენის სახელმწიფო პალატის აღდგენა და ბატონ ლევან ღვინჯილიასთვის ენის სიწმინდის დაცვის საქმის მინდობა.

9. *ის, რაც სავსეა, როდი ხმაურობს, ხმაურობს მხოლოდ სიცარილე“ (შ. ნიშნიანიძე).

* „საქართველო, წიგნო ჩუმად გადასაშლელო“.
(გ. გაფრინდაშვილი).

* „სჯობს აღარ გქონდეს სრულად სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“ (გოგლა).

* საქართველოო–გოლგოთაზე უფრო ციცაბოვ“ (მუხრანი).

**ირაკლი სიჭინავა**



# „დ ე დ ა ე ნ ა"

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

# „ქართული ენაშია ჩვენი ქართველობა"

## ენა ერის მონაპოვარია

1. ენა ცოცხალი მუზეუმია, აქ დაცული „ენობრივი ექსპონატები" ენის თავგადასავლის, საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ტრადიციების მანიშნებელია.

ქართული ენა ქართველი ერის ენაა. იგი უმთავრესი იარაღია კულტურისა, ძირითადი ფაქტორი და გამომხატველი ერის განვითარებისა.

ქართული ენა ქართველი ტომების–ქართების, მეგრელ-ჭანების (ზანების) და სვანების საერთო ენაა. იგი ისტორიულად ეროვნული კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრ ბერკეტს წარმოადგენდა.

ქართულმა სალიტარატურო ენამ უდიდესი როლი შეასრულა ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ქართული ენა მიეკუთვნება მსოფლიოს ცივილიზებულ ენებს, რომლის წარმოქმნის სათავეებს ექვსი ათასი წლის უწინარეს სიღრმეებში სწვდება მეცნიერული თვალი. ამ ენაზე შეიქმნა უმდიდრესი, ჟანრობრივად მრავალფეროვანი ლიტერატურა. როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი. ქართულმა ენამ შემოგვინახა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომლის დედნები დაკარგულია. ასევე სპარსული, არაბული და სირიული ლიტერატურის უძვირფასესი ძეგლები (თარგმანებში).

ნიკო მარი ამბობდა „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით, აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას".

ქართულ ენას, წარსულში დიდი დევნა და შევიწროება განუცდია დამპყრობელი დიდი იმპერიების ენებისაგან. ქართველი ერის დიდი მონაპოვარია 1997 წლის 14 აპრილი–ქართული ენის გადარჩენის დღე, რომლის აღსანიშნავად აღიმართა დედაენის ძეგლი.

2. მშობლიური, ქართული ენის სიყვარული დაბადებისთანავე იწყება დედის რძესთან ერთად, პირველ რიგში იგი მშობელმა, მერე კი საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იზრუნონ ენის სრულფასოვნად შესწავლაზე.

3. მეტნაკლებად ყველა პერიოდში ხდებოდა ენაზე ზრუნვა, ჯერ კიდევ ილია და აკაკი ზრუნავდნენ, ამკვიდრებდნენ ახალ ქართულ სალიტერატურო ენას. აკაკი ხალხურ ზეპირსიტყვიერებას მიიჩნევდა სალიტერატურო ენის გამდიდრების წყაროდ. ხაზგასმით აცხადებდა–ენა ხალხმა კარგად იცის და არ ვიცით ჩვენ, რადგან კაბინეტებში ვსხედვართ და ხალხს არ ვიცნობთო.

4. ენის დაბინძურებას იწვევს, სამწუხაროდ, ჩვენში გამჯდარი სენი–წამხედურობა, მიმბაძველობა, უცხოური ტერმინებით კეკლუცობა.

ჩემი აზრით, სახელმწიფომ განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა აიყვანოს სახელმწიფო ენის დაცვა.

ნახეთ, ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, უცხოენოვანი წარწერებით აჭრელებულ შენობა-ნაგებობებზე ქართული წარწერა ან იგნორირებულია, ან მოკრძალებული, მომცრო შრიფტითაა წარმოდგენილი, ესაა ენის შეურაცხყოფა.

5. დღევანდელი სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულ სწავლებას, რაც, ჩემი აზრით, კლავს სწორი, ლიტერატურული ქართულის შესწავლის ალბათობას. მიმაჩნია, რომ ქართული ენის გრამატიკა, აუცილებლად ცალკე უნდა ისწავლებოდეს.

6. მიმაჩნია, რომ იაკობ გოგებაშვილი იყო გენიალური პედაგოგი. ორი ხმოვნით სიტყვის და ამ სიტყვებით წინადადების შექმნით წერა-კითხვის სწავლების დაწყება უპრეცედენტო შემთხვევაა. ჯერჯერობით ის შეუცვლელია, თუმცა დედაენის გათანამედროვეობა საჭიროა.

7. საბავშვო ლიტერატურა ისეთივე უძველესია, როგორც სადიდო, შუმერულ ტექსტებშიც კი ყოფილა თურმე პერსონაჟი, ონავარი მაიმუნი ლუსილუსი.

დღეს ბაზარზე უამრავი ქართული საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურა გამოდის, არჩევანი ალალბედზე ხდება. გამოცემის ხარისხი ვიზუალურად კარგია, მაგრამ ვისურვებდი, როცა ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად მომძლავრდება, გადმოგვეღო შვედეთის მაგალითი; იქ არსებობს საბავშვო ლიტერატურის ინსტიტუტი, რომელიც შვედეთის განათლების სამინისტროს ბიუჯეტზეა. იგი იკვლევს შვედურ საბავშვო ლიტერატურას, მუშაობენ პროფესიონალი ექსპერტები, ყოველწლიურად უშვებენ ალმანახს რეკომენდაციებით–ასაკის, ინტერესთა სფეროს, თემების გათვალისწინებით. ეს ალმანახი უფასოდ ურიგდება ყველა სკოლას და წარმოადგენს გზამკვლევს მშობლებისა და პედაგოგებისათვის.

8. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ–შეიქმნას ენის პალატა. თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოს სახელმწიფო ენის პატივისცემა. ეროვნულმა უმცირესობებმა, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, შეისწავლონ და პატივი სცენ სახელმწიფო ენას, ამ მხრივ დაწყებულია და უფრო უნდა გაფართოვდეს პროექტი–„ვისწავლოთ და ვასწავლოთ საქართველოსთვის".

9. ჩემი საყვარელი სტრიქონებია მუხრან მაჭავარიანის ლექსი:

ტა, ტა, ტა, ტა  
რანაირად ბრდღვინავს არაგვი!  
ხო, ხო, ხო, ხო  
ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!  
არა! სხვისი მისაბაძი  
რა მჭირს,–  
თვარა,–კი!  
სხვა როცა მე შემომნატრის,  
მე მივბაძო სხვას?!  
რა გინდა რომ აქ არ იყოს,  
ენა იტყვის რას!  
სიტყვა გინდა?!  
მარტო წვიმას აქვს  
სახელი ცხრა.  
მე შენ გეტყვი–  
არ გეყოფა სიტყვის მარაგი  
არა!  
სხვისი მისაბაძი  
რა მჭირს,–  
თვარა,–კი!

**ნინო ცხადაია.**

## ქართული ენის ისტორია

დღევანდელ დღეს ჩვენთვის მთავარია ვიცოდეთ ჩვენს ენაზე გამართულად ლაპარაკი, თუმცა მგონი ისიც მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ საიდან მოდის ის, ევოლუციის რა ეტაპებს გავიდა, საით მიგვყავს იგი გაუმართავი საუბრით და რა საინტერესო ფაქტები უკავშირდება მას.

ქართული ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა, რაც სხვა ყველაფერთან ერთად, ნიშნავს, რომ ნებისმიერი არაქართველი ვალდებულია ეცადოს მის შესწავლას, თუ იგი საქართველოს მოქალაქეა. ქართულ ენაზე ლაპარაკობს 4 მილიონამდე ადამიანი საქართველოს საზღვრებში. ასევე აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის ტეროტორიებზე გვხვდება ქართული ენის რამოდენიმე დიალექტი, რომლებსაც იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველები რამოდენიმე საუკუნის მანძილზე არსებობას უნარჩუნებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა მცირე ერის სახელმწიფო ენაა, მისი ურთულესი ბგერების გაგება მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეიძლება. ამჟამად, ყველაზე ვრცელი ქართული დიასპორა რუსეთშია. შესაბამისად, საქართველოს საზღვრებს გარეთ ყველაზე მეტი ხალხი ამ ქვეყანაში ლაპარაკობს ქართულად.




### წარმომავლობა

ქართული ენის წარმოშობის შესწავლას, უძველეს დროში გადავყავართ. ქართული ენის ასოებისა და ჩვეული ნიშანთვისებების გაუთავებელი შედარებით ამა თუ იმ უძველეს ენასთან და ამ შედარებებისგან გამოტანილი დასკვნების თანახმად, ქართული ენა მიიჩნევა უძველესი „ქართველური ენის" შთამომავლად. ზემოთხსენებული ენა კი ჩვ.წ-მდე 2000 წლით თარიღდება. ძველ ენათა სწავლულების თანახმად, ქართველური ენა მოგვიანებით გაიყო ორ ნაწილად, სვანური და ქართული, რომელიც მოგვიანებით გაიყო 3 ნაწილად: მეგრული, ლაზური და ქართული. ისტორიული ფაქტების მიხედვით, ქართული ენის შემდგომი ნაკვალევი ჩვ.წ-მდე მე-3 საუკუნეში ჩანს, ფარნავაზის მეფობის პერიოდში. სწორედ ფარნავაზის დროს, შეიქმნა პირველი ქართული ანბანი (ასომთავრული). ანბანის შექმნასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა, რის მიხედვითაც ფარნავაზმა ნახა ხილვა, სადაც მის წინაშე მონაცვლეობდნენ ასოები.

ასომთავრული ანბანის ნიმუშები აღმოჩენილია უძველეს ეკლესიებზეც. ასომთავრულით დაიწერა უდიდესი ლიტერატურული ჰაგიოგრაფიული ძეგლი შუშანიკის წამება, რომელიც თარიღდება მე-5 საუკუნით.

ამ ტიპის ანბანი დიდი ხნის მანძილზე დარჩა ხმარებაში, მაგრამ მე-9 საუკუნეში ქართულ ენაში შემოვიდა ნუსხური დამწერლობა. მიუხედავად იმისა, რომ ნუსხური მე-9 საუკუნიდან შემოდის, პირველი ნიმუშები მე-10 საუკუნეში გვხვდება. ეს ნიმუშები მოიცავს კიდევ ერთ ჰაგიოგრაფიულ ძეგლს „აბო ტფილელი".

მე-11 საუკუნეში ქართული დამწერლობა კიდევ ერთხელ, ამჟამად ბოლოჯერ, შეიცვალა მხედრულით. მხედრული გამოდგა სხვა ყველა დამწერლობაზე სრულყოფილი. მხედრულის სრულყოფილება გამოიხატება მის შედარებით სიმარტივესა და ეკონომიურობაში. ამ ტიპის, ანბანში ასოების რაოდენობა ემთხვევა ბგერების რაოდენობას, რაც მას მნიშვნელოვნად ამარტივებს. მხედრულს ანუ ქართულ ანბანს არანაირი მსგავსება გააჩნია სხვა ენებთან, უფრო მეტიც, იგი არის მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობიდან ერთ–ერთი.

### დიალექტები

ქართული ენა მოიცავს 17-მდე ნაცნობ დიალექტს, ისინი ძირითადად 2 ჯგუფში არიან განაწილებული, ესენია: დასავლური და აღმოსავლური. ისინი ერთმანეთისგან შემდეგი ასპექტებით განსხვავდებიან: მორფოლოგიურად, სინტაქსურად, ფილოგიურად და ლექსიკონით. მიუხედავად ასეთი განსხვავებებისა, ნებისმიერი დიალექტი, აგებულია სტანდარტული ენის სტრუქტურაზე. რამოდენიმე დიალექტის ჩამოყალიბებაზე გავლენა მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი) ენებმა მოახდინეს. ალბათ ყველას გსმენიათ ინგილო, ესეც არის ერთ-ერთი დიალექტი რომელზეც აწ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები საუბრობენ. ეს ტერიტორია მდებარეობს ალაზნის ხეობის ნაწილზე. კიდევ ერთი „დამტვრეული ქართულის" სამშობლოა კლარჯეთი–ტერიტორია შეტყაპუნებული თურქების მიერ :ukanali:. მე-3 ობიექტი უცხოურ–ქართული დიალექტისა არის ფერეიდნული ქართული. ხალხი, რომელიც ამ ენაზე საუბრობს, ცხოვრობს ირანის ტერიტორიაზე. ისინი წარმოადგენენ მე-17 საუკუნეში შაჰ–აბასის მიერ გადასახლებული კახელების შთამომავლობას. ქართული დიალექტების ჩამოყალიბებაზე უცხოელებთან ერთად, რა თქმა უნდა, ქართველებიც „ზრუნავდნენ". ჩვენი ქვეყნის მთიან რეგიონებში ხალხი ისეთ დონეზე ამარტივებს ქართულ ენას, რომ მათ თავიანთი დიალექტები შექმნეს.

### ლიტერატურა

ჰაგიოგრაფიული ნაშრომების გარდა ქართულ კალამს შეუქმნია მრავალი შედევრი, რომელთაც აღიარება ჰპოვეს მთელ მსოფლიოში. ყველაზე „ხმაურიანი" გამოდგა მე– 12 საუკუნის „ვეფხისტყაოსანი". ეს პოემა აღიარებულია ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. იგი ითარგმნა მრავალ ენაზე, მაგალითად ფრანგულზე, ესპანურზე, გერმანულზე,ინგლისურზე, ივრითულზე (ებრაული), რუსულზე, იაპონურზე, ჩინურზე და ა.შ. „ვეფხისტყაოსანი" ასევე იყო ერთ-ერთი პირველი ნაბეჭდი ნაწარმოები, ბიბლიასთან ერთად, საქართველოს ისტორიაში 1712 წელს.

### საინტერესო ფაქტები

* ქართული ენა არის მსოფლიოში120 ადგილზე მასზე მოლაპარაკე ხალხის რაოდენობის მიხედვით (რაოდენობა ითვლება მხოლოდ ეთნიკური ქართველებით ანუ 4 მილიონამდე)

* ქართულ ენაში არ არსებობს მდედრობითი ან მამრობითი „ის".

* ქართული ზმნა ყოველთვის გულისხმობს თავის თავში ერთ, ორ ან სამ სუბიექტს. (მაგალითად გაუგზავნის (ის, მას, მას) ეს ერთი სიტყვა სხვა ენაში მთელ წინადადებას მოიცავს).

* 1705 წელს, მოსკოვში მეფე არჩილ 2-ის მითითებით ნუსხური და ხუცური ანბანებით დაიბეჭდა „დავითნი". 1712 წელს, კი ვახტანგ 6-ის მიერ დაარსებულ სტამბაში, როგორც უკვე ვთქვი, დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი", „ბიბლია" და „ახალი აღთქმა".

# იუბილე — ნათელა ალანია-80

არც თუ ისე ადვილია განვლო 80 წელი და საზოგადოებისგან პატივისცემა და სიყვარული შეინარჩუნო. ძნელია აკეთო საქმე და ამ საქმის პროფესიონალად ერთხმად გაღიარებდნენ. ქალბატონო ნათელა, თქვენ ეს შეძელით და სწორედ ასეთად გვამახსოვრებთ თავს. საქმის დიდოსტატო, დაუღალავო და მუხლმოუდრეკელო ქალბატონო, გილოცავთ ამ ლამაზ დღეს. ჯანმრთელობა და ღვთის წყალობა ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

***გოდერძი ბუკია,***

***საქართველოს პარლამენტის წევრი, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი***

17 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსის ნათელა ალანია-ლომაიას 80 წლის იუბილეა. ნათელა ლომაია 61 წლის განმავლობაში მაღალპროფესიონალიზმით, წარმატებით და ნაყოფიერად ემსახურა ჩვენს მუნიციპალიტეტს.

ქალბატონო ნათელა, თქვენ ხართ მაგალითი პრინციპულობის, პროფესიონალიზმის, ჭირთათმენისა და გამძლეობისა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით, უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმხნევესა და დღეგრძელობას.

***გოჩა ქაჯაია,***

***ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.***

ქალბატონო ნათელა! ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო უდიდესი პატივისცემით გილოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს!

თქვენი ხანგრძლივი, ნაყოფიერი, მაღალი პროფესიონალიზმითა და უდიდესი პასუხისმგებლობით გამორჩეული შრომითი მოღვაწეობა მისაბაძი და სამაგალითოა ჩვენი თაობებისთვის!

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და თქვენთვის ჩვეულ რიტმში ხანგრძლივ შრომით საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

***ელიშერ ჯობავა,***

***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.***

ქალბატონ ნათელა ალანიას–საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსს, ვულოცავთ 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ჭირთათმენას. დიდხანს გვყავდეთ მეგობრად და დამრიგებლად.

პატივისცემით და სიყვარულით

***ხობის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლები.***



# წლები მისი სიმდიდრე...

დროთა მდინარებაში წუთივით გადის წუთისოფელი... საზოგადოებაც მასთან ერთად იცვლება, მაგრამ საბედნიეროდ არსებობენ ადამიანები, რომლებიც წუთისოფელს გვილამაზებენ, მათი სიცოცხლე მარადიულ გრძნობას–სიყვარულს იმსახურებენ და სამარადჟამო ადგილს იკავებენ წუთისოფელში...

ამასწინათ სამსახურიდან შინ მიმავალი შემომხვდა, დიდხანს ფეხდაფეხ მივყვებოდი, სახლისკენ მიმავალმა ვიდრე გზა არ გადაკვეთა... აშკარად ეტყობოდა, მხრები დამძიმებოდა (არა მხოლოდ ფიზიკურად) ისე მიაბიჯებდა, თითქოს ფეხები დაუმძიმდა და შინ არც მიეჩქარებაო... ჩემს თვალწინ სწრაფად ჩაირბინა ქალბატონ ნათელა ალანიას ბოლო სამი ათეული წლის ცხოვრებამ. მახსოვს, ლამაზი, ტანადი, სანდომიანი ქალბატონი, ვისაც საფინანსო სამსახურთან რაიმე აკავშირებდა, მისი დიდი რიდი, მოწიწება და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დიდი სიყვარული ჰქონდათ.

ვიდრე განგებამ ერთადერთ შვილ გელასთან ერთად ცხოვრება არგუნა, რაიონში ცნობილი იყო ნაპო ლომაიას, ახალბედა ინჟინრის გელა ლომაიას და ფინასისტ ნათელა ალანიას ლამაზი და ბედნიერი ოჯახი. მისხალმისხალ აკინძული სიყვარული, სითბო და სიხარული ანათებდა მათ ირგვლივ ყველაფერს, რაც შემდეგ სულ ერთმა უხეირო წამმა ნამსხვრევებად აქცია და მთელი სისასტიკით წარმოჩინდა უმძიმესი წლები, დედის ღირსება, გრძნობა, რომელმაც ყველა ტკივილს გაუძლო, რომელმაც კვლავ საზოგადოებაში დააბრუნა, მოვალეობამ, პასუხისმგებლობამ და საქმის სიყვარულმა ისევ დაამკვიდრა საფინანსო სამსახურში, წლებმა ვერაფერი დააკლო, მისმა პროფესიონალიზმმა თავისი კოლეგები, მეგობრები, ხელმძღვანელები დაარწმუნა იმაში, რომ ის ისეთივე შეუვალი, ძლიერი, სულით ხორცამდე პატიოსნებით იყო სავსე, როგორც უპირველესად დედა.

ყოფილა ისე, რომ როცა მასზე ჩამოვარდება საუბარი ერთ რამეში ყველა ერთსულოვანია–სამართლიანობა მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, კანონი და კანონიერება კი გზის მანათობელი, ალბათ, ამიტომ თუა, მომდურავიც ჰყოლია... მიუხედავად 30 წლიანი სამსახურებრივი ურთიერთობისა, პირადად მისგან არასოდეს ვყოფილვარ უსამართლობის მსხვერპლი...

დასაწყისში გამცნეთ, მხრებდამძიმებული მეჩვენა მეთქი, თურმე წლები გამხდარა მისი სიმდიდრე. სხვა რომ არაფერი იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან, 60 წელიწადია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს უსინჯავს მაჯას. მიხარია, სიკეთის გზას ისევ რომ ენერგიულად აგრძელებს.

ქალბატონო ნათელა, თქვენმა კოლეგებმა გაგვახსენეს ეს თარიღი, სახელოვნად გავლილი ტკივილიანი ცხოვრების გზა. ჩვენ, რედაქციელები მოწიწებით ვხრით თავს თქვენი ნიჭისა და გონების, თუნდაც თქვენი სიდარბაისლის წინაშე. გილოცავთ დაბადების დღეს, დიდხანს იცოცხლეთ თქვენი ლამაზი ოჯახის ბატონ ნაპოსა და ერთადერთი შვილის გელას სიცოცხლის არ დავიწყების ნიშნად.

ვისურვებდი დიდხანს ეიმედებოდეთ დიდსა და პატარას, მოსახლეობას, ხელმძღვანელებს, ახლობლებს, უფალმა გაგაძლიეროთ და გაგიხანგრძლივოთ ხანმოკლე წუთისოფელი.

***უდიდესი სიყვარულით, მოწიწებით და პატივისცემით***

***მერი ლაგვილავა.***

# ჩემი პირველი მასწავლებელი



**ჩემს თაობას თუ წარმოადგენთ, აუცილებლად გექნებათ შემონახული ალბომი სახელწოდებით „ჩემი პირველი მასწავლებელი“. ალბომი მოწითალო ფერის უნდა იყოს და სამ სექციადაა დაყოფილი. ამ ალბომის ერთი გვერდი თქვენს კლასელებს ექნებათ აუცილებლად დაკავებული და ისინიც სურათში რაოდენობის მიხედვით იქნებიან ჩამწკრივებულები. მე მაგალითად, პირველ კლასში ორმოცამდე კლასელი მყავდა, ამიტომაც ამ შემთხვევაში შვიდი წლის ბავშვები სამ რიგად უღიმიან თუ უმღვერენ ობიექტივს. ალბომის მეორე გვერდი თქვენ გექნებათ დათმობილი, თუ ბიჭი ხართ პიჯაკში, თეთრ პერანგსა და ჰალსტუხში (ან ბაფთაში) უნდა იყოთ გამოწყობილი, გოგო თუ ხართ ანალოგიურად საზეიმოდ იქნებით გამოწყობილი. მოკლედ, ორივე შემთხვევაში კონცენტრირებული სხედხართ მაგიდასთან და ობიექტივს დაჟინებული და სერიოზული მზერით შესცქერით. აქვეა ღიმილიანი პირველი მასწავლებლის სურათი, მასწავლებლისა, რომელმაც გვაზიარა „დედა ენას“, ვინაც შეგვასწავლა ანი–ბანი, წერა–კითხვა, მერხთან ჯდომა, საუბარი და ადამიანის ჩამოყალიბებისთვის პირველი საფეხურები! ეს ის მასწავლებელია, ვინც ჩვენს ბავშვურ საქციელს იტანდა და გვზრდიდა როგორც პიროვნებას. თქვენი არ ვიცი მაგრამ მე, მართლა მომენატრა სკოლა. ამიტომაც გადავწყვიტე ეს სტატია, ჩემ პირველ მასწავლებელს ნელი ბერაიას მივუძღვნა.**

**ქალბატონ ნელის სახლში ვესტუმრე, ნაცნობი ღიმილი შემაგება, სახლში შემიძღვა და ორივენი მოგონებათა სამყაროში გადავეშვით, ეს ის სამყაროა, რომელიც ყველა ადამიანს ტკბილად ამახსოვრდება, პირველი მასწავლებელი სულ სხვა მცნებაა, მასთან ბევრი რამე გაკავშირებს, დღესაც კარგად მახსოვს ნელი მასწავლებლის გაკვეთილები, თუ როგორი მონდომებით ვუსმენდით მის თითოეულ სიტყვას.დღესაც მოწიწებით ინახავს მოსწავლეების მიერ მისთვის მიძღვნილ მისალოც ბარათებს, სამახსოვრო ფოტოსურათებს.**

***ნელი მაწავლებელო, საუბარი ცოტა შორიდან დავიწყოთ, თქვენი ბიოგრაფიული შტრიხები:***

–1942 წლის 21 მაისს, წმინდა ელენეს ხსენების დღეს დავიბადე. ოთხი დედმამიშვილი ვიყავით, 3 ძმა და ერთი და. მყავდა, მშრომელი, პატიოსანი მშობლები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ჩვენი სწავლა-აღზრდით. დედამ მასწავლა წიგნის სიყვარული,შრომისმოყვარეობა და, რაც მთავარია, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა. მქონდა ლაღი და უზრუნველი ბავშვობა, მიყვარდა თანატოლებთან თამაში, ვიყავი მორიდებული ბავშვი.თავის გამოჩენა არ მიყვარდა. ხობის N1 საშუალო სკოლაში შემიყვანეს, კარგად ვსწავლობდი, მიყვარდა ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია. პირველი სკოლა კადრების სამჭედლო იყო. აქ მასწავლიდნენ აწ განსვენებული:ვერა ებანოიძე, ნინა გოგინავა, კარლო ბუკია,ანზორ კაკაბაძე... მათ შემაყვარეს ლიტერატურა, ისტორია,მათემატიკა, გეოგრაფია, ჩემი კლასის დამრიგებელი იყო ზინა წულაია, რომელიც რუსულ ენას მასწავლიდა, მიყვარდა მასწავლებელიც და საგანიც. რუსული სალაპარაკო ენა იყო ჩემი.

***_რა არის ოჯახი? მოგვიყევით თქვენი ოჯახის შესახებ...***

–ოჯახი პატარა სახელმწიფოა, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე და ერთიანობაზე. მყავს მეუღლე ალიოშა (ხიტა) ჭოჭუა. ძველი ფეხბურთელი „კოლხეთის“ გუნდისა, ამავე დროს მისი მწვრთნელიც იყო. ოჯახის ერთგული, შვილებისთვის მზრუნველი მამა, თბილი ბაბუა, მისი ხატება არის ბადიში ანრი ჭითანავა. მყავს ორი ბიჭი-მალხაზი და მამუკა ჭოჭუები, რძლები ნინო ბელქანია და გულნარა ჭუმბურიძე, მათ ვთვლი ჩემს ღვიძლ ქალიშვილებად და შვილიშვილად. შვილიშვილები: ალიკა და თამუნა, სიძე ლადო ჭითანავა.

***თქვენი ცხოვრებიდან რომელ პერიოდს გაიხსენებდით განსაკუთრებით?***

–ჩემი ცხოვრების განსაკუთრებული პერიოდი იყო უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა და პირველი პირმშოს შეძენა.

***თქვენი პირველი მასწავლებელი?***

–ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ვენერა იოსავა-ელიავა. თბილი, მოსიყვარულე, ბავშვების გულის მესაიდუმლე.

***მასწავლებლობა რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა, ათეული წლების განმავლობაში თქვენ, დაწყებითი კლასის პედაგოგი ბრძანდებოდით. როგორ გაიხსენებდით იმ წლებს?***

–მასწავლებლობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, ჯერ კიდევ ბებიამ დამარქვა სახელი ნელი, ასე ერქვაო ჩემს ახლო ნათესავს, ნელი ჯობავას, რომელიც დაწყებითი კლასის მასწავლებელი ყოფილა. მიყვარდა ბავშვობიდან „კლასობანას“ თამაში. 45 წელი ვემსახურე მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს. N1სკოლამ მშობლიურად ჩამიკრა გულში მისი აღზრდილი შვილი. აქ დამხვდნენ ჩემი ყოფილი მასწავლებლები, სკოლის დირექტორი ალექსანდრე (საშა) ბერაია, ლამარა ბუსქანძე, მარო წურწუმია, ვერა დარასელია, ზინა წულაია, გული გაბრავა. აქ ასწავლიდნენ ჩემი თაობის მასწავლებლები ჩემი სკოლის მეგობარი-ლია ჩაჩიბაია, ლეილა გაბრავა, ინეზა წურწუმია. სკოლა ჩემთვის მეორე ოჯახი იყო, ეს წლები იყო ძიების, ახალ-ახალი წარმატებების წლები ჩვენი სკოლისა და მასწავლებლებისათვის. ჩვენი სკოლის სახელი ქუხდა თავისი მიღწევებით, ტარდებოდა სასკოლო და სკოლისგარეშე ღონისძიებები, ღია გაკვეთილები, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა სპორტულ ღონისძიებებს, რომელსაც სათავეში ედგა დამსახურებული მასწავლებელი აწ განსვენებული მიშა დანელია. მიმიხაროდა სკოლაში, სადაც ხელებგაშლილი მხვდებოდნენ ჩემი საყვარელი მოსწავლეები.

***რა განსხვავებაა დღევანდელ ბავშვსა და მაშინდელ ბავშვს შორს?***

–მაშინდელ ბავშვსა და დღევანდელ ბავშვს შორს დიდი განსხვავებაა, მაშინ მასწავლებლის ძირითადი არგუმენტი იყო, ცარცი, დაფა და მასწავლებელი, ბავშვები ვიყავით წესიერები, ყურადღებიანი, კაცთმოყვარენი, გვიყვარდა კითხვა, სპორტი,სიმღერა, ცეკვა. ახლანდელი ბავშვები მეტად გათვითცნობიერებულები არიან, ცხოვრობენ კომპიუტერის ხანაში, არ აინტერესებთ კითხვა, ისინი სწავლობენ დევიზით „ეძიებდე და ჰპოვებდე”, არ არიან მოკრძალებულნი, დამთმობნი.

***და მაინც. თქვენი აზრით როგორი თაობა მოდის?***

–ნიჭიერი თაობა რომ მოდის ეს უდავოა, ამას არ ვმალავ.მაგრამ წიგნიერება უმთავრესია, ახალი თაობა თუ წიგნსა და კომპიუტერს ერთმანეთს შეუთავსებს კარგი იქნება. ჩემი სურვილია, რომ ჩვენი თანამედროვე სკოლა იყოს წარმატებული, სახელოვანი, მართალია მე ამდენი წლების ნაჯაფი მასწავლებელი ძალიან გულდაწყვეტილი წამოვედი სკოლიდან, მაგრამ სულიერად გაუტეხელი ვრჩები, ვუსურვებ მომავალ თაობებს ისწავლონ ჩვენი საყვარელი მამულის საკეთილდღეოდ, ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს ვუსურვებ.

**ესაუბრა ნინო ბერგაია.**

ახალი კადრი

# „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“



*ხობის მუნიციპალიტეტის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში ახალი უფროსი სპეციალისტი დაინიშნა. ქალბატონი ივეტა ცანავა ხობელებისთვის მეტნაკლებად ცნობადი სახეა. მიუხედავად იმისა, რომ ის ხობელი გახლავთ, გარემოებათა გამო მას წლები ფოთში მუშაობამ მოუწია. წარმატებული მუშაობისთვის მიღებული აქვს ჯილდოები. წარმატებით ჩააბარა სკოლამდელი აღზრდის გამგეთა ტესტირება.*

*თუ ვინ არის ქალბატონი ივეტა, როგორი იყო მის ცხოვრებაში კარიერული წინსვლა, რატომ გადაწყვიტა ხობში წამოსვლა, როგორია მისი სამუშაო გეგმები, ამ და სხვა საკითხებზე მასთან საუბრისას შეიტყობთ.*

**ქალბატონო ივეტა, ხობელები თქვენს პიროვნებას კარგად არ იცნობენ,გაგვეცანით...**

–ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოში დავიბადე, საჯიჯაოს საშუალო სკოლა, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე, კვალიფიკაცია: სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როცა ფიქრობ, რომ ცხოვრების ერთი ეტაპი განვლილია, გზაგასაყარი აშკარად მოჩანს... ერთი გზა სოფელში მიდის, სოფელი, რომელიც ჩემთვის ძალიან სათუთი და ნაცნობია, ეს ის სოფელია, სადაც პირველი პროფესიული ნათლობა მივიღე ჩაის ფაბრიკასთან არსებულ საბავშვო ბაგა-ბაღში, ეს ჯერ კიდევ მანამ, სანამ სტუდენტი გავხდებოდი. განაწილების ფურცელი ხელში მეკავა, რაც უფლებას მაძლევდა მუშაობა აქ, ჩემს ქალაქში დამეწყო. ჩემს წარმოდგენაში ყველაფერი სხვაგვარად წარმომედგინა და როცა ამ ფურცლით ხელში მაშინდელ შესაბამის ორგანოებს მივმართე, მართალი გითხრათ, მიღების მომენტი არ მომეწონა, არ იყო ის გარემო, რომელიც ახალი დამწყები კადრისთვის მისაღები ყოფილიყო. მეწყინა და გული დამწყდა, წყენა ჩემთვის დავიტოვე, სამსახური ხომ მაინც უნდა დამეწყო. მაგრამ მე ხობში სამსახური არ დამიწყია.

***რატომ?***

–ალბათ, ეს ბედისწერა იყო. ჩემი თანაკურსელი მეგობრები, რომლებიც ფოთში №6 საბავშვო ბაგა-ბაღში იყვნენ განაწილებული სამუშაოდ, სტუმრად მეწვივნენ და მთხოვეს მათ ფოთში გავყოლოდი. იქ დამხვდა სათნო და სანდომიანი ბაღის მაშინდელი გამგე ქალბატონი ლამარა ხურცია. ახალგაზრდები რომ დაგვინახა ძალიან გაუხარდა, მოვეწონეთ, სწორედ მასთან საუბარში გაირკვა, რომ მე ხობელი ვიყავი და მუშაობაც ხობში უნდა დამეწყო.ქალბატონმა ლამარამ კატეგორიულად მოითხოვა ჩემი იქ დარჩენა. განათლების განყოფილების იმჟამინდელ გამგესთან, ბატონ მურად კვიკვინიასთან შეთანხმებით იმ დღესვე გადაწყდა ჩემი ბედი და დაიწყო ჩემი ახალი საინტერესო და შემოქმედებითი ცხოვრება. 1985 წელს მუშაობა დავიწყე ფოთის მე 6 ბაგა ბაღში მასწავლებლად, ერთ წელიწადში ამავე ბაღში მეთოდისტად გადამიყვანეს,სადაც 1989 წლის მარტამდე დავყავი. 1988-1989 წლის დეკემბრამდე განათლების განყოფილებაში სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორად. 1998 წელმა განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. დავინიშნე №9-ე ბაგა-ბაღის გამგედ, სადაც 20 წელი ვიმუშავე. ბაღის გამგეობა ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა, ეს, უბრალოდ, საშუალება იყო ოცნების რეალურად ქცევისათვის.

ყველაფერი მსხვერპლს მოითხოვს, მითუმეტეს ბავშვის აღზრდა... ამ დროს შენ შენს თავს აღარ ეკუთვნი. გავიწყდება ან შეგნებულად ივიწყებ, რომ ამ შენობის, ეზოს გადაღმა შენი ყოველდღიური, პრობლემებით დატვირთული ცხოვრება გელოდება... ივიწყებ, რადგან შენს წინაშე ბავშვი დგას. მთელი ჩემი ენერგია, პირადულიც კი, ამ ბაღის აღორძინებას შევალიე, დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ფოთელებს ერთი წარმატებული ბაღი დავუტოვე, მყავდა არაჩვეულებრივი კოლექტივი, ნიჭიერი პედაგოგები, კარგი მშობლები, ჩვენ ყველანი ერთად წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელად ვიღწვოდით ჩვენი ბაღის კეთილდღეობისათვის. მერე რაც იყო იმის გახსენება არ მინდა. ეს ჩემი ნასათუთარი და ნალოლიავები ბაღები დამატოვებინეს, უსამართლო ამბიციის მსხვერპლი გავხდი.

***მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ბაღის გამგე არ იყავით, ფოთის ბაღების გაერთიანებაში მუშაობას განაგრძობდით, რატომ გადაწყვიტეთ ხობში წამოსვლა?***

–ხომ გაგიგონიათ „ადგილის დედის“ ძახილი, მეც წლებია ჩემი სოფელი, ჩემი სახლი მიხმობს. მარტოდდარჩენილი დედა ხშირად მსაყვედურობდა, როდისღა უნდა დაუბრუნდეო შენს კერას. მე წლების წინათაც მქონდა სურვილი ხობში დამეწყო მუშაობა, მაგრამ მაშინდელმა ხელისუფალმა ჩემი მოთხოვნა მიზეზთა გამო არ დააკმაყოფილა. და ახლა როცა შევიტყვე არსებული ვაკანსიის შესახებ, ადგილობრივ ხელისუფლებას მივმართე, აქაც, სწორედ ისე, როგორც წლების წინ ფოთში, გამიღეს კარები. ბატონ გოგი ქაჯაიამ ქალბატონ ელისო კვიკვინიასთან ერთად განიხილა, ჩემი კანდიდატურა და დღეს, რომ მე აქ ვარ, სწორედ ამ ხალხის დამსახურებაა. რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი.

***და მაინც რა კრიტერიუმით მოხდა თქვენი შერჩევა ამ თანამდებობაზე?***

–ქალაქის მმართველობა და სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება ზრუნავს ბაღებზე. ისინი უპირატესობას ანიჭებენ პროფესიონალიზმს, თავის ქებაში ნუ ჩამითვლით თუ ვიტყვი,რომ ჩემი საქმისადმი პროფესიონალიზმი ნადვილად არ მაკლია, მე ამ ხალხმა ნდობა გამომიცხადა და მეც ვალდებული ვარ ჩემზე დაკისრებული უფლება_მოვალეობები კეთილსინდისიერად შევასრულო.

***ვიცი რთულია, ასე მოკლე პერიოდში ბაღის ყოფა-ცხოვრებაში გარკვევა,რა მემკვიდრეობა გერგოთ წილად, ანუ როგორი ბაღი ჩაიბარეთ?***

–დამეთანხმებით თუ გეტყვით, რომ დიდი ტრადიციის მქონე ბაღი ჩავიბარე, მინდა უფრო ძირფესვიანად გავეცნო მის მატიანეს. სურვილი მაქვს ბაღის ინფრასტრუქტურა უფრო დახვეწილი იყოს, შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს. იმედია ამ პრობლემასაც მალე მოევლება.

***ახალი ხელმძღვანელი მოსვლისთანავე საკადრო ცვლილებების გატარებას იწყებს. თქვენ თუ გეგმავთ საკადრო ცვლილებებს?***

–არანაირ ცვლილებების გატარებაზე არ ვფიქრობ, იმიტომ, რომ კადრებით კმაყოფილი ვარ. ვაფასებ მათ პედაგოგიურ გამოცდილებას. ყველას საბავშვო ბაღში მუშაობის შესაბამისი სტაჟი აქვს. მუშაობა უფრო დაიხვეწება, უფრო შემოქმედებითად მივუდგებით საქმეს და იმედია, ჩვენ ყველანი ერთად შევძლებთ მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდას.

***როგორია თქვენი მუშაობის სტილი?***

–არაფერი განსაკუთრებული. მე მიყვარს მუშაობა გუნდური პრინციპით. კოლექტივი ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრებული, მხოლოდ მაშინაა საქმე კარგად გაკეთებული.

კაცობრიობის განვითარების ისტორიამ ცხადყო, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად იცვლება განათლების სისტემა. სკოლებში მიმდინარე რეფორმა, რათქმა უნდა, გარკვეულწილად მოქმედებს სკოლამდელ დაწესებულებებზე და თხოულობს მუშაობის წარმართვას ახლებურად, შემოქმედებითად. შევდივარ ჯგუფებში, ვესწრები მეცადინეობებს, ვახდენ დაკვირვებას ბავშვთა გონებრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, რათა ინდივიდუალურად მივუდგე აღსაზრდელს.

***და ბოლოს სამომავლო გეგმები როგორია?***

–პირველ რიგში ჩემი დიდი სურვილია ამ ბაღის მატიანე შევქმნა. თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემთან სათანამშრომლოდ მინდა ვუხმო ყველა ასაკის პირველ ბაღელს, მჯერა ერთიანი ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ მომავალ თაობებს შევუქმნათ იმ ბაღის მატიანე, რომელშიც ისინი სწავლობენ. და კიდევ, სურვილი მაქვს, ამ ბაღმა გაამართლს თავისი სახელი და არა მარტო სახელით „პირველი“, ის საქმითაც პირველი უნდა იყოს.

**გვერდი მოამზადა ნინო გერგაიამ**



1995 წელს ხობში დაიბადა, პირველი სასკოლო ნაბიჯები ნოვოჩერკასკის სკოლაში აიდგა. მეორე კლასში იყო როცა ბებია გარდაეცვალა, რაც გახდა საფუძველი კვლავ ხობში დაბრუნებისა. სწავლობდა ჯერ ხობის, შემდეგ კი ქვალონის სკოლაში. მე-9 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სამხედრო კადეტთა ლიცეუმში. ამჯერად ის ამერიკის სამხედრო სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტია. თუ რა გზა გაიარა ალექსანდრე გელაშვილმა ამ წარმატებამდე, თავად მოგვიყვება.

# ბავშვობიდან მიზანდასახული

**პირველ რიგში გაეცანი მკითხველს.**

–როგორც უკვე მოგახსენეთ, ხობში დავიბადე. 2000 წელს მშობლებთან ერთად გავემგზავრეთ ნოვოჩერკასკში.საბავშვო ბაღშიც იქ შემიყვანეს,შემდეგ სკოლაში. მეორე კლასში ვიყავი ბებია გარდამეცვალა და ჩვენც, მთელი ოჯახი იძულებულნი გავხით ხობში დავბრუნებულვიყავით. ვინაიდან მაშინ ხობის №1 საშუალო სკოლაში რუსული სექტორი იყო, სწავლა იქ განვაგრძე, მაგრამ მალევე ესეც დახურეს. ამასობაში მამა გარდამეცვალა, დავრჩით მარტო მე, დედა და ჩემი უფროსი ძმა. სწავლა ქვალონის სკოლაში გავაგრძელე. მე-9 კლასის დამთავრებისთანავე ჩავაბარე ქუთაისის სამხედრო კადეტთა ლიცეუმში.

**ლიცეუმს მოგვიანებით დავუბრუნდეთ, გვიამბე მშობლების შესახებ ?**

–დედაჩემი ნონა ფარცვანია სოფელ ხამისქურიდან არის, პროფესიით პედაგოგია. მამა გრიგოლ გელაშვილი მშენებელ-ინჟინერი, გარდაცვალებამდე ყულევის ტერმინალში მუშაობდა. აქვე გეტყვით, მყავს ძმა, რომელიც ასევე ქუთაისის სამხედრო კადეტთა ლიცეუმის სტუდენტია.

**რამ გადაგაწყვეტინათ სწავლა სამხედრო კადეტთა ლიცეუმში?**

–სწავლა ყოველთვის მიყვარდა, მიზანდასახულიც ვიყავი. მოგეხსენებათ ობლად, დედის ამარა დარჩენილებს არ გვქონდა იმის საშუალება სათანადო სწავლა-განათლება მიგვეღო, ვინაიდან იქ სწავლა უფასო იყო, არც წიგნები მქონდა მოსაძიებელი და არც საცხოვრებელი, ჩემთვის ეს ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი იყო, თან გამიმართლა გამოცდებიც კარგად ჩავაბარე.

***ამჟამად ამერიკის სამხედრო სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტი ხარ, ამაზე რას გვეტყვი?***

–მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისის სამხედრო კადეტთა ლიცეუმში სწავლებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა, საკმოდ წარმატებული მასწავლებლები გვასწავლიდნენ, სკოლაში გერმანულს ვსწავლობდი ლიცეუმში მომიწია ინგლისურის სწავლა გავიარე ინგლისურის პროგრამა ტოიფელი, თუ ამ პროგრამას კარგად დავეუფლებოდი, შანსი მეძლეოდა სწავლა ამერიკაში გამეგრძელებინა. მე ისედაც მქონდა სწავლის გაგრძელება გადაწყვეტილი ამ კუთხით, მაგრამ ამ შემთხვევაში გორში მომიწევდა სწავლის გაგრძელება. ჩემს თავს შევუძახე და დავიწყე ინტენსიური მზადება ინგლისურში, თითქმის დღე და ღამე გასწორებული მქონდა, დასვენების დღეებშიც კი არ მოვდიოდი სახლში არ მინდოდა დროის დაკარგვა. მასწავლებლების რეკომენდაციით მოვხვდი იმ ჯგუფში, ვისაც უცხოეთში უნდოდა სწავლის გაგრძელება. 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისში გამოცდები უნარებში და მათემატიკაში ჩავაბარე, ტოიფელის გამოცდა კი ინგლისურად ბათუმში. 6 კაცის კანდიდატურა იყო, ლიცეუმიდან მხოლოდ გამოცდები წარმატებით მხოლოდ ჩავაბარე ჩემი. ახლა ჯერი უკვე ამირიკის სასწავლებელზე იყო. თბილისის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებულ შტაბში იყო ჯგუფი რომელიც განიხილავდა ჩვენს საკითხს ამერიკელ კოლეგებთან ერთად სწორედ ამ შტაბიდან დამირეკეს და მაცნობეს, რომ გამოცდები წარმატებით მქონდა ჩაბარებული, და შემეძლო სწავლა ამერიკაში სიმართლე გითხრათ ვერ ვიჯერებდი მანამ სანამ თვითონ არ შევამოწმე ჩემი ელექტრნული ფოსტა. უკვე პირველი კურსის სტუდენტი ვარ.

***როგორი პირობებია სასწავლებელში?***

–იქ სწავლა ძალზე რთულია, მუდმივად რეჟიმში უნდა იყო, ფიზიკური დატვირთვაც ბევრია, ყველა წუთი გათვლილი უნდა გქონდეს.

***ქართველები თუ სწავლობენ შენთან?***

–სულ სამნი ვართ, ერთი იქ დაგვხვდა. ისე ძალიან ბევრი უცხოელი სწავლობს, მაგრამ როცა ენის ბარიერი არ არსებობს, თავადაც გიადვილდება.

***სტიპენდია გააქვთ?***

–კი, 200 დოლარი, არც კი გვეხარჯება იმიტომ, რომ რაც გვჭირდება ყველაფერი სასწავლებელში გვაქვს

ახლა გრძელვადიანი საშობაო არდადეგები გვაქვს, ასეთი არდადეგები ზაფხულშიც გვექნება. ამის გარდა გვაქვს სადღესასწაულო მოკლევადიანი არდადეგები. ჩვენს ჩასვლაჩამოსვლაზე კი სახელმწიფო ზრუნავს, სამგზავრო ხარჯებსაც სახელმწიფო გამოყოფს.

***სამომავლო გეგმები როგორია?***

–ჯერ ოთხი წელი უნდა ვისწავლო, 10 წლიან კონტრაქტზე, რომელიც ჯარში სამსახურს ითვალისწინებს, ხელი მოწერილი მაქვს, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

## კაბინეტს მიღმა

*რუბრიკის სტუმარია ა.ი.პ-ი კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი ბეჟან ნადარაია.*

***ბატონო ბეჟან! მოდით ერთი დღით დავივიწყოთ ყოფითი პრობლემები, სამსახური, როგორია ბეჟან ნადარაია კაბინეტს მიღმა?***

–ისე, ჩემო ნინო მწერალ ლ. ქიაჩელს უთქვამს, „თუ გულს არ უჭირს ცხოვრებას არაფერი აზრი არა აქვსო“. ასე რომ ყოფითი პრობლემები ადამიანში ყოველთვის არსებობს. კაბინეტის მიღმა ძალიან თავისუფლად ვგრძნობ თავს. ალალად გეტყვით, კომპლექსები არასდროს მაწუხებდა.



***რა იცით თქვენი გვარის წარმომავლობის შესახებ?***

–ჩემი გვარის ისტორია XVIII-საუკუნიდან ფიქსირდება. პირველი ნადარაია მეისტორიეს დაფიქსირებული აქვს სოფელ კიწიაში. საგვარეულო წიგნი მალე გამოვა და ამიტომ ზედმეტად თავს არ შეგაწყენთ.

## ,,სიყვარულია, რაც ჩვენ გვაცოცხლებს, სიყვარულია თვითონ ღვთაება...“

***საკუთარ თავში მოგწონთ...***

–საკუთარ თავში ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ ვარ უაღრესად მომთმენი.

***რა არ მოგწონთ?***

–ვერ ვიტან მიმბაძველობას, ამპარტავნობას.

***ენა, მამული, სარწმუნოება, რა დატვირთვა აქვს თქვენთვის ამ სიტყვებს?***

–თითოეულმა ქართველმა უნდა ილოცოს ამ ტრიადაზე.

***ისურვებდით დაბადებულიყავით...***

–ისევ აქ, ამ ქვეყანაში...

***ადამიანში ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ?***

–ამპარტავნობა.

***სიყვარულია როდესაც...***

–სიყვარულია, რაც ჩვენ გვაცოცხელბს, სიყვარულია თვითონ ღვთაება-და მას მოცილედ თვით ღმერთიც არ ჰყავს...

***არ გსურთ დაკარგოთ***

–მეგობრები...

***რომელ პროფესიას შეითავსებდით?***

–ერთი პროფესია მაქვს, მასწავლებელი ეწოდება, სხვა პროფესიას ვერ შევითვისებ.

***როგორი გსურთ საზოგადოებამ დაგიმახსოვროთ?***

–როგორიცა ვარ.

***დაასრულეთ წინადადება, ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა იყო...***

–„გული, რომ გაგიტეხე, მაპატიე, უბრალოდ შიგ ჩახედვა მინდოდა. შენ კი შეცდომად ჩამითვალე“ (ამ შეცდომაზე შემდეგ ვისაუბროთ).

***შრომისმოყვარეობა თუ ნიჭი?***

–ორივე ერთად

***რამდენად ტრადიციული ბრძანდებით?***

–ქართულ ეროვნულ ტრადიციებს ჩემი ცხოვრების ბოლომდე ვუერთგულებ.

***თამადის „ინსტიტუტზე“ რას გვეტყოდით?***

–თამადა ანუ პურის უფალი–ამ ინსტიტუტს უაღრეს პატივს ვცემ.

***რა აზრის ხართ ქართულ ტელევიზიებზე?***

–ტელევიზიებიდან დიდი პატივს ვცემ, „ერთსულოვნებას“, დანარჩეზე ვერაფერს გეტყვით

***რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში წიგნს?***

–წიგნის კითხვა–ჩემი ჰობია (ჩემი სიმდიდრე ჩემი სახლის ბიბლიოთეკაა).

***და ბოლოს, როგორც ყოფილი „ხობის მოამბელი“ გაზეთზე რას გვეტყოდით?***

–გაიხარეთ, „ხობის მოამბეს“ წარმატებებს ვუსურვებ!

**ესაუბრა**
**ნინო გერგაია**

## უხუცესი

# წლები უფალმა მომადლა



სიცოცხლე ღვთით ბოძებული მადლია. ეს მადლი უხვად დაანათლა უფალმა პირველმაისელ სამსონ ქანდარიას, რომელიც 23 აპრილს 111 წლის გახდება.

დიდი სურვილი მქონდა, მენახა წლებით დახუნძლული მოხუცი და გავსაუბრებოდი. ნატვრა ამიხდა. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ვნახე ძალზე ლამაზი (მამაკაცზე არ იტყვიან, ლამაზიაო), მომხიბვლელი მოხუცი, თეთრი, სასიამოვნო კაცი, მაგრამ ამჟამად მწოლიარე, შვილებმა გვიამბეს ახალგაზრდობაში ძალზე ახოვანი, მაღალი, წარმოსადეგი და სანდომიანი კაცი ყოფილა. მარტო შესახედაობა? არც გონება დაეწუნებოდა და არც სიტყვა-პასუხი, არც წარმომავლობა, არც ოჯახი თუ ნაშიერი.

როცა მასთან მისულები გვნახა ბატონმა სამსონმა და მისვლის მიზეზიც გაიგო, თვალებში სულ სხვა სხივი ჩაუდგა...

**<u>გზა დაბადებიდან დღემდე.</u>**

სამსონ ქანდარია 1904 წლის 23 აპრილს დაბადებულა სოფელ მუნჩიაში (პირველი მაისი). მის მშობლებს დიანოზსა და ოლღა ბერიშვილს ოთხი შვი-



მეუღლე ჟენია ლორიასთან ერთად

ლი ჰყოლიათ. ამათგან მეორე შვილი ჩემი რესპოდენტი სამსონი გახლდათ, ის 2 ძმისა და ერთი დის შუათანა ძმაა. ოჯახი ძალზე შრომისმოყვარე ყოფილა. ყველანი შრომობდნენ და დოვლათიც ხვავიანი ჰქონიათ. ათობით ხარ-კამეჩი, მეწველი ძროხები, წვრილფეხა პირუტყვი და ფრინველი უხვად ჰყოლიათ. უთვალავი სკიდან წელიწადში ორჯერ ძალზე ბევრი თაფლი გამოჰქონდათ. სიმინდით სამი სასიმინდე ივსებოდაო. მათ შრომას ბარაქა მოჰყვებოდა თურმე...

ახსოვს და ძალიან კარგადაც, როგორ გააკულაკეს მისი ოჯახი. თვითონ და მისი ძმები, როგორ ეწინააღმდეგებოდნენ მოსულებს და როგორ აყრევინებდნენ წასართმევად გამზადებულ მთელ მათ ქონებას. თუმცა, წასაღები მაინც წაიღეს და...

თავისთავად, ახალ ცხოვრებას ყველა შეეჩვია. შემდეგ იყო დიდი სამამულო ომი. ოჯახის უდიდესი ტრაგედია. ფრონტზე წასული ძმებიდან უფროსი ძმა ამირანი ბრესტში დაიღუპა. თუმცა დიანოზის ოჯახში ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა. მათ რომლებსაც დიდიხანი არაფერი გასჭირვებიათ, უბედურება კვლავ დაატყდათ თავს. 32 წლის შვილი შითა მატარებლის მსხვერპლი გახდა. მიუხედავად ტრაგიკული ყოფისა, ოჯახის უფროსები დედ-მამა დიანოზი და ოლღა 94–81 წლის ასაკში გარდაიცვალნენ.

თავად სამსონის შრომის ბიოგრაფია 14 წლის ასაკიდან დაიწყო. სწავლით, მხოლოდ 2 კლასი დაუმთავრებია. შემდეგ რკინიგზაზე დაუწყია მუშაობა ფიზიკურად თავის მეზობლებთან: ამბროზ და დიანოზ წოწერიებთან და კოლია ტურავასთან ერთად, სადაც ხანგრძლივად მუშაობდა. ბატონი სამსონი ისე შეეჩვია თავის საქმიანობას, იქ წაუსვლელობა ეძნელებოდა. მან 50 წელი რკინიგზაზე შრომაში გალია. წარჩინებული რკინიგზელის ტიტული მოიპოვა და ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის დიდების ორდენების კავალერი გახდა. ბატონ სამსონსა და ულამაზეს მეუღლეს ჟენია ლორიას საუცხოო, სიყვარულით სავსე ოჯახი ჰქონიათ. შვიდი შვილი გაზარდეს, თუმცა უბედურება მაშინ დაატყდათ თავს, როცა უფროსი ქალიშვილი 18 წლის ასაკში დაკარგეს. დანარჩენი შვილები–იანი, ნაირა, ნონა, მანანა, მარინა, ამირანი ღვთის წყალობით კარგად არიან. ისინი პირველ მაისში, თბილისსა და ფოთში ცხოვრობენ და თავიანთი შვილებით კმაყოფილები და ბედნიერები არიან მხოლოდ იანი დარჩა დაუოჯახებელი. ყველას უმაღლესი განათლება და გამორჩეული პროფესია აქვთ. ზოგი ინჟინერია, ექიმი, მასწავლებელი... შვილიშვილებიც სწავლობენ, ისინიც რჩეულ პროფესიებს ეუფლებიან... ბატონი სამსონი 13 შვილიშვილისა და 6 შვილთაშვილის დიდი ბაბუაა. სახლში მყოფი შვილები მოხუც მამას ესათუთებიან.

მანანას და იანის ვეკითხები, თუ როგორი იყო თავიანთი მამის ცხოვრების წესი, მეუბნებიან, მამას გამორჩეული ცხოვრების წესი ჰქონდაო. მთელი ცხოვრება სიგარეტი არ მოუწევიაო, ღვინოსაც სვამდა, მაგრამ ზომიერად. 60 წლის შემდეგ ღვინოს არ გაკარებია. 6 საათის შემდეგ არასდროს ჭამდა, არც წიწაკიან და არც მარილიან საჭმელს ეტანებოდა, დღის რეჟიმს არასოდეს არღვევდა–ალბათ ამიტომაც გაძლო ასე ხანგრძლივად, თანაც ღმერთიც ეხმარებოდა, რაც თავი გვახსოვს „მამაო ჩვენოს“ გალობდა,–მიხსნიან.

„მამაო ჩვენო“ საგზლავდა მას მთელი თავისი ცხოვრება. ღვთის სადიდებელი ლოცვა დღესაც მოხუცი ადამიანის თანხვედრია. იმ დღეს უთხრეს–იგალობეო, შვილს უთხრა, იქნებ შემეშალოსო... არც ვათქმევინე, არ მინდოდა ენერვიულა, თვალზე მომდგარი ცრემლი თავად მოწმობდა, რომ ნერვიულობდა, როგორც გავიგე, საუცხოო სასიმღერო ხმა ჰქონია და სიმღერაც ჰყვარებია. ოჯახში ხშირად მღეროდნენ.

ბევრი რამ მინდოდა მისთვის მეკითხა, მაგრამ ამ ბოლო დროს სმენის პრობლემა ჰქონია და სხვა რამაც აწუხებდა...

ვუყურებდი მას და ვგრძნობდი და ვამჩნევდი, რომ ის შესაშური მეოჯახე კაცი, გამორჩეული მეუღლე, მამა, ბაბუა, კარგი მეზობელი, მეგობარი და ახლობელი. უბოროტო ადამიანია, ალბათ ამიტომაც უყვარს ღმერთს და წლების სიმრავლე აჩუქა.

იანის ვკითხე, სიცოცხლესთან განშორების ხომ არ ეშინიათქო–სიკვდილზე არასდროს ლაპარაკობს, არც იმაზე, მეშინიაო.

დამშვიდობებისას გაგვიღიმა... კმაყოფილება გამოხატა. მეც გავამხნევე, რომ კიდევ დიდხანს იყოს. 23 აპრილს, ღვთის ნებით, შვილებთან ერთად აღნიშნავს იუბილეს–111 წლისთავს.

დაე, ასე იყოს!!!

***ნანი კილასონია.***

P.S. გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავიგეთ, რომ ბატონი სამსონი გარდაცვლილა. ჩემთვის ეს ამბავი ძალიან მტკივნეული გახდა. დამენანა, რომ მასზე დაწერილი ნარკვევი ვერ წაიკითხა, არადა როგორ ელოდა.

„ხობის მოამბეს“ რედაქცია უსამძიმრებს ოჯახს მისი გარდაცვალების გამო.

ჯანმრთელობა

# გრიპი ჯერ არ გვიტევს?!



*ბოლო დღეებში რედაქციაში გვირეკავენ და გვთხოვენ, გავარკვიოთ, რატომ არის გადავსებული ბავშვთა საავადმყოფოები. „ფაქტობრივად, თავისუფალი ადგილი არ მოიძებნება. მოზარდების უმრავლესობა გრიპის გამო გადის სტაციონარულ მკურნალობას, უამრავ ბავშვს აქვს ფილტვების ანთება“, -ამბობენ მშობლები. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მოზარდებში გრიპის ეპიდემია დაიწყო?*

*- მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოებში პაციენტთა რიცხვი გაზრდილია, უჩვეულო არაფერი ხდება. არც ის არის შეშფოთების საფუძველი, რომ საავადმყოფოებში ხშირად მოზარდებს პნევმონიის დიაგნოზს უსვამენ. ასევე ხშირია მძიმედ მიმდინარე რესპირაციული დაავადებები, მაგრამ ეს ჯერ არ არის გრიპის ვირუსი. როგორც ლაბორატორიული კვლევები აჩვენებს, გვაქვს მხოლოდ ერთეული შემთხვევები. დღეს საავადმყოფოებს, სავარაუდოდ, აკითხავენ გრიპის მსგავსი სხვა ვირუსებით გამოწვეული დაავადებების შემთხვევაში, რომლებიც გართულებულია ექიმთან გვიან მისვლის გამო.*

***რა სიმპტომები ახასიათებს ამ ტიპის დაავადებებს?***

- გრიპისგან განსხვავებით, ეს დაავადებები თავიდან ნაკლები ინტოქსიკაციით მიმდინარეობს და ავადმყოფები, უფრო კი მოზარდები, არ იცავენ წოლით რეჟიმს, არ უფრთხილდებიან თავს, რასაც მოჰყვება პნევმონიით გართულება.

***საავადმყოფოებში ადგილი აღარ არისო, ამბობენ.***

- ჩვენ არ გვაქვს ასეთი ინფორმაცია. მეტიც, შარშანდელთან შედარებით ნაკლები ავადმყოფია სტაციონარში. ეს არ არის მოულოდნელი ან უჩვეულო მოვლენა ამ პერიოდისთვის. გრიპი ჯერ ნამდვილად არ გვიტევს, დაავადებულ მოზარდთა თუ მოწიფულთა რაოდენობა საგანგაშო არ არის. ყოველი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მატულობს გრიპის შემთხვევები და ამის შესახებ მოსახლეობა'ოველთვის ინფორმირებულია. ზუსტად როდის გამოჩნდება გრიპის ვირუსი, სამწუხაროდ, არ ვიცით.

ჯერჯერობით მთელ ევროპაშიც კი გრიპის ვირუსის ცირკულაციის ნაკლები ინტენსივობა ფიქსირდება. სავარაუდოდ, ზამთრის განმავლობაში დაავადებულთა რაოდენობა მოიმატებს, მანამდე კი, თუ გრიპის სიმპტომები გამოგაჩნდებათ, მით უფრო - ბავშვებს, დროულად უნდა მიაკითხოთ ექიმს და დარჩეთ სახლში. გრიპის სიმპტომებიანი ბავშვის სხვა ბავშვებთან ერთად ყოფნა სახიფათოა. ერთი მხრივ, საფრთხეს ვუქმნით საკუთარ თავს

მდგომარეობის მოსალოდნელი გართულებით, მეორე მხრივ კი ვხდებით გარშემო მყოფთა დაინფიცირების წყარო.

***საჯარო სკოლების დაწყებით კლასებში განსაკუთრებით აქტუალურია გრიპისა და მისი მსგავსი ვირუსებით მოზარდების დაავადების შემთხვევები.***

_ამიტომაც სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჰიგიენას. ბავშვებმა ხელები ხშირად უნდა დაიბანონ, ასევე ხშირად უნდა განიავდეს საკლასო ოთახები. ეს შეამცირებს ვირუსის კონცენტრაციას და ბავშვების ინფიცირების რისკს.

# ჯანმრთელობის ანბანი



სიცივის გამო იმუნიტეტი სუსტდება და დაუცველნი ვხდებით გაცივებით გამოწვეული დაავადებებისაგან. ამიტომაც საჭიროა ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე და დავიცვათ გაცივების პროფილაქტიკის წესები:

**ჰიგიენა.** ვირუსები და ბაქტერიები ჭუჭყიანი ხელებითა და ჰაერწვეთოვანი გზით გადაეცემა. პირადი ჰიგიენის მარტივი წესების დაცვა (ხშირად ხელ-პირის საპნით დაბანა, ცხვირის გამორეცხვა და ა.შ.) გვეხმარება, ავირიდოთ ვირუსული დაავადებები.

**კვება.** იმუნურ სისტემას აძლიერებს მრავალფეროვანი, ბალანსირებული კვება, რომელიც მდიდარია ვიტამინებით, მიკროელემენტებითა და ორგანიზმისთვის ყველა აუცილებელი ნივთიერებით.

ამინდის შესაბამისი ტანსაცმელი. ბევრი ცდილობს, გაიხანგრძლივოს ზაფხული არა მარტო ფიქრით, არამედ საქმითაც, არ ეპუება ცივ ამინდს და არ იცვამს თბილ ტანსაცმელს, რაც გაცივების მიზეზი ხდება.

**ფიზკულტურული წუთი.** ჯანმრთელობის საწინდარია ფიზიკური ვარჯიშები და ძილი, არანაკლებ 7 საათისა. ვარჯიშის დროს აქტიურდება ორგანიზმის ბუნებრივი იმუნური უჯრედები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ვირუსებს.

**გაკაჟება**. ეს საუკეთესო საშუალებაა, ორგანიზმმა ისწავლოს სიცივეზე შესატყვისი რეაგირება (კარგია დილა-საღამოს კონტრასტული შხაპი). სასურველია, თავი გაინებივროთ არომატული აბაზანებით (განსაკუთრებით სასარგებლოა ევკალიპტის, ჩაის ხის, კედრისა და ფიჭვის ზეთები).

**არ მოსწიოთ!** გახსოვდეთ, მწეველები უფრო ხშირად ცივდებიან და ავადმყოფობენ. პასიური მწეველის იმუნური სისტემაც კი დიდი დარტყმის ქვეშ არის. ამიტომ, გირჩევთ, თავი აარიდეთ მწეველებს, რათა არ ჩაისუნთქოთ თამბაქოს ბოლი, ხშირად გაანიავეთ ოთახი. აქტიურმა მწეველებმა შეამცირეთ სიგარეტის რაოდენობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარეთ, ქუჩაში ხართ, ან მაშინ, როდესაც ოთახიდან მოსაწევად გადიხართ აივანზე თბილი ტანსაცმლის გარეშე, რაც გაცივების მიზეზი ხდება.

**სუფთა ჰაერი.** გრიპის ეპიდემიის დროს აუცილებელია, მეტი დრო დაყოთ გარეთ, სუფთა ჰაერზე.

სულთათანა

# სიყვარულით გავლილი გზა

ხშირად ჩემი ბიბლიოთეკის ოთახში წესრიგის დასამყარებლად შესულს, თავი მიმინებებია ყველაფრისთვის და ისე გავუტაცნივარ ძველი ჟურნალების თვალიერებას ან კითხვას მთელი დღე იქ გამიტარებია. ბიბლიოთეკის ერთ კუთხეში, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვის, აწერია „ჩემთვის ძვირფასი“, სადაც მოთავსებული მაქვს ნაჩუქარი ლიტერატურა, რომელზეც ავტორთა ავტოგრაფებია მოცემული, ან კიდევ სათანადო წარწერები.

ამჯერად ხელში მომხვდა წიგნი, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს „ჩემს საყვარელ მოსწავლეს, ამჟამად საუკეთესო კოლეგას მანანა შულაიას, მისი ამქვეყნად მოვლინების აღსანიშნავად. წარმატებებს გისურვებ“–სილიბისტრო ღვინჯილია. მივყვები მოგონებებს და მახსენდება, როგორი ხიბლითა და ინტელექტით გამორჩეული ოჯახი ჰქონდათ ხიბულაში (ზუბში) მცხოვრებ სილიბისტრო ღვინჯილიას და თამარ არაჩემიას. ბატონი სილიბისტრო რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ზუბის საშუალო სკოლაში, ქალბატონი თამარი კი ქართულ ენასა და ლიტერატურას ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში. შემოქმედების წყურვილით ანთებულები, ისე მთლიანად იყვნენ შესისხლხორცებულები სკოლას, იმდენის გაკეთება მოასწრეს, იმდენის სითბოსა და სიყვარულის გამოსხივება შეძლეს, რომ მათი სულის სილამაზე დღესაც ფერუცვლელია.

ბატონი სილიბისტრო დაუშრეტელი ენერგიის, სიცოცხლის ტრფიალი, ნათელი, გამჭრიახი გონების პედაგოგი გახლდათ. უკვე ჩამოყალიბებული მასწავლებელი მუდმივად ცდილობდა ცოდნისა და ბავშვის სულის მართვის ურთულესი ხელოვნების დაუფლებას.

კარგად მახსოვს და ალბათ ჩემი გონებიდან არასოდეს ამოიშლება სილიბისტრო მასწავლებლის გაკვეთილები. მისი უშუალო დამოკიდებულება მოსწავლეებთან. თვითონ გაკვეთილის მსვლელობა წარმოადგენდა არა მარტო ცალკე აღებულ გაკვეთილს, არამედ იგი იყო შემოქმედების, საკუთარი აზრის თავისუფლად გადმოცემის, მხატვრული ნაწარმოებების შეფასების პატარა მინი სპექტაკლი. ის ნამდვილად „სხვანაირი“ მასწავლებელი გახლდათ, რომელიც სტერეოტიპების დამსხვრევას ცდილობდა, სწორედ მაშინ იყო ის „მომავლის მასწავლებელი“, სწორედ მაშინ მივხვდი ლექსისა და საერთოდ ნაწარმოების ხიბლს, როცა ბატონი სილიბისტრო მთელი გრძნობით, მხატვრული ხერხების გამოყენებით გვიკითხავდა პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვათა ნაწარმოებებს. დღესაც ჩამესმის ყურში მისი ხმა, რომელიც უბადლოდ გადმოგვცემდა რუსი კლასიკოსების პროზა-პოეზიის ნიმუშებს.

ბატონი სილიბისტრო ღვინჯილიას ცხოვრება, ესაა ინტელექტუალური ადამიანის ბედი, სახელმწიფო რეჟიმის ეპოქაში, რადგან იგი იყო თავით ფეხამდე თავისუფალი აზროვნების, განსხვავებული შეხედულებების მქონე პიროვნება. მიუხედავად ცხოვრებაში გადატანილი განსაცდელისა, იგი არ გაბოროტებულა, არც ნაწყენობა გამოუხატავს ვინმეს მიმართ, მხოლოდ ეგ იყო, ხანდახან მისი მხიარული გამოხედვა სევდით შეიცვლებოდა და ისიც მხოლოდ წამიერად. ცალკე უნდა აღვნიშნო ბატონ სილიბისტროს იუმორის გრძნობა. მის კოლეგებს, მოსწავლეებსა და მეზობლებს დღესაც ახსოვთ მისი მოსწრებული სიტყვა-პასუხები, სხარტულები, იყო უბადლო თამადა, ქართული, ჯანსაღი წესებისა და ადათების დამცველი, ყოველთვის მზად ჰქონდა სიტუაციის შესაფერისი ციტატა თუ ლექსი, ღრმად განათლებული და მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს ნაზიარევი, ყოველთვის იპყრობდა მსმენელთა ყურადღებას, უყვარდა ქართული ფოლკლორი და საოპერო მუსიკა.

ბატონ სილიბისტროს ცხოვრების მიზანი და ბედნიერება მისი ერთადერთი შვილი ლევანი და მისი შვილები იყვნენ. უჩა, მაია, დათა, ნატა მის სიცოცხლეში დაიბადნენ, ხოლო ანა და ლუკა მას არ უნახავს. მახსოვს, როგორ ელოდა მათ ჩამოსვლას თბილისიდან, როგორ ფაცი-ფუცობდა, როგორ ამაყობდა იმით, რომ მათ ხიბულა უყვარდათ.

...და მაინც, ბატონი სილიბისტრო იყო მასწავლებელი და მასწავლებელთა მასწავლებელიც, რომელმაც თავის მოსწავლეებს ასწავლა ფიქრი, აზროვნება, ძიება, მსჯელობა. იგი ახალგაზრდებს კაცთმოყვარეობის გრძნობას უნერგავდა, ეხმარებოდა მათ გამხდარიყვნენ გონიერნი, საზრიანნი, კეთილშობილნი.

ხალხის თვალი უტყუარია, იგი მალევე შეამჩნევს ღირსეულს, შეიყვარებს და თავისებურად დააფასებს. თუმცა შეიძლება დაფასებაში დრომ გადაიწიოს, მაგრამ იგი მაინც მოხდება.

კარგად უთქვამს გოეთეს: „ვისაც თავის დროზე კარგად უცხოვრია, ის ყოველთვის ცოცხალია“. ასეა ამ შემთხვევაშიც, ბატონი სილიბისტრო ღვინჯილიას სახელი მართლაც არასოდეს დაიკარგება, თუნდაც იმით, რომ მას ჰყავდა უამრავი მოსწავლე და საზოგადოება, რომლებიც აფასებენ და იხსენებენ მას.

***ზუბის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა სახელით***
***მანანა შულაია.***

# დიმიტრი (დიტო) კორტავა



ღამის სამი საათია...

კარებზე აკაკუნებენ...

ისმის შემზარავი ხმა, თითქოს მეხი გავარდა...

დიტო ტრაგიკულად დაიღუპა...

არ ვიცოდი, რა მექნა, ეს ყველასთვის შემზარავი ამბავი იყო, თალხი ჩაიცვა მთელმა სოფელმა...

დიტო აღარ არის...

საოცრად ძნელია წერა, ცრემლებს ვერ ვიკავებ, ჩემს თვალწინ გაიზარდა ახოვანი, ძლიერი, კეთილშობილი, ყველას გვერდით მდგომი, გამორჩეული ჩვენი დიტო სათევზაოდ ანკესით წასული და შინვერდაბრუნებული. საოცრად უყვარდა თევზაობა, ნადირობა, ძმაკაცები ხშირად სტუმრობდნენ, პურმარილიანს და ალალმართალს.

...და დარჩა გამწარებული ოჯახი... დედ-მამა, ძმა, და, ახლობლები, მეზობლები. სამეზობლოში ახალწელს თოფი არ გავარდნილა. აბა. როგორ უშენოდ, დიტო?

შენმა დაბადების დღემაც ისე ჩაიარა, შენ ხომ ქეიფი გიყვარდა, გასაოცარი იუმორით გამოირჩეოდი (ცხონებულ ბიძაშენ თარაშის გავდი, მე ისიც ძალიან მიყვარდა) არ ვიცი რით ვანუგეშო შენი ერთაერთი და ნატო, ახლაც ყურში ჩამესმის ნატოს და მარინას ხმა „ძმაო“.

დღე არ გავა, რომ არ გაგიხსენოთ. ყოველ დილა-საღამოს დედის გლოვა და მოთქმა ჩამესმის, ძნელია ამის მოსმენა ცრემლისა და მწუხარების გარეშე. მე სახლიდან დაგტირი უძირფესვოდ დარჩენილო ბიჭო. გთხოვდი, გეჩხუბებოდი, გვაქეიფე მეთქი, შენ კი ჩუმად ჩაიღიმილებდი.

გაქრა სიხალისე.

ვისა აქვს შენი ცოდვა...

მიუტევოს უფალმა...

***ნაირა ბერაია.***

შვილები: მანანა და მურთაზი. რძლები ნანი მიმინოშვილი, ლუდა კვირკვაია, ლანდა კარტოზია, სიძე ნუგზარ თუთბერიძე, შვილიშვილები: ბაჩანა, ნათია, დათა, ლევანი, ლაშა შულაიები. შოთა თუთბერიძე. შვილთაშვილი მარი შულაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ხოხოლი რაჟდენის ასული ჭილაია**

პანაშვიდი 24-25 თებერვალს, 17 საათზე, დაკრძალვა 26 თებერვალს, ხუთშაბათს, სოფელ ახალ ხიბულაში.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გაზეთის რედაქტორს მანანა შულაიას, ნუგზარ და შოთა თუთბერიძეებს ჭირნახული დედის, სიდედრისა და ბებიის

**ხოხოლი ჭილაიას**

გარდაცვალების გამო.

# ს პ ო რ ტ ი

## დათა ხურცილავას სახელობის თასზე



10–16 თებერვალს ქ. ხობში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის ხობის კოლხეთისა და თბილისის დინამოს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების ყოფილი წევრის დათა ხურცილავას სახელობის თასის რიგით მეშვიდე გათამაშება მინი ფეხბურთში. შეჯიბრებაში რვა გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ორ ჯგუფში, A ჯგუფში ასპარეზობდნენ ახალი სოფლის, ქვალონის, ხობის საძმოსა და ხობის კოლხეთის გუნდები. B ჯგუფში გამოდიოდნენ ხობის №1, ნოჯიხევის, ხობის „პირველი მერცხალისა“ და ხეთის ფეხბურთელთა გუნდები. ჯგუფური თამაშების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ 1.ახალსოფელი–„პირველი მერცხალი“, 2. ხობის „საძმო“–ხეთა.

ახალი სოფლის ფეხბურთელებმა 3:0 სძლიეს პირველ მერცხალს და ფინალში გავიდნენ. ასევე ადვილად შეძლეს ხეთელებმა ხობის „საძმოს“ დამარცხება 5:1 და მათაც ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

16 თებერვალს, დათას დაბადების დღეს, გაიმართა ფინალური მატჩი ახალი სოფლისა და ხეთის ფეხბურთელთა გუნდებს შორის, რომელიც დაძაბულად წარიმართა, თუმცა შემდეგ აშკარად გამოიკვეთა ხეთელთა უპირატესობა და მატჩიც მათივე გამარჯვებით 4:0 დამთავრდა.

ამრიგად, დათა ხურცილავას სახელობის თასის ღირსეული გამარჯვებული ხეთის ფეხბურთელთა გუნდი (რწმუნებული შავლეგ ბუკია, მოთამაშე მწვრთნელი რაულ ლატარია), რომლებიც დაჯილდოვდნენ დათა ხურცილავას სახელობის გარდამავალი თასით, ასევე პირველი ადგილისთვის დაწესებული თასითა და სიგელით.



გამარჯვებულ გუნდს დათას ძმამ დაჩი ხურცილავამ ფულადი ჯილდო 150 ლარი გადასცა, რომელიც დათას ოჯახმა I-II-III ადგილზე გასული გუნდებისთვის დააწესა. მეორე ადგილზე გასული ახალი სოფლის ფეხბურთელთა გუნდს (რწმუნებული იმედა ცარციძე, მწვრთნელი თემურ ვეკუა) მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი, სიგელი და ფულადი ჯილდო 100 ლარი გადაეცათ.

მესამე ადგილი დაიკავა დათას მეგობრებისგან შემდგარმა გუნდმა „საძმომ“, რომელთაც გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი, სიგელი და ფულადი ჯილდო 50 ლარი.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის.

საუკეთესო მეკარე გახდა ირაკლი საბეკია („საძმო“);

საუკეთესო მცველი–ლევან ჩაჩიბაია (ახალი სოფელი);

საუკეთესო ნახევარმცველი–ვლადიმერ ჯამბურია („საძმო“);

საუკეთესო თავდამსხმელი–ნიკა ვეკუა (ახალი სოფელი);

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი 9 გატანილი გოლით გახდა რაულ ლატარია (ხეთა);

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ნიკა ბერაია (ხეთა).

გამარჯვებულნი, პრიზიორები და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები დააჯილდოვეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ბატონმა მახარე ჩოკორაიამ, საკრებულოს საფინანსო-სარევიზო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ტარიელ ალექსანდრიამ, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა გოჩა სიჭინავამ, საკრებულოს წევრმა ფრიდონ შონიამ, გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა ქალბატონმა ნანა ბუკიამ, საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ბატონმა ზურაბ ლატარიამ და დათას ძმამ დაჩი ხურცილავამ.

დაჯილდოების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას და ტურნირის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ, ბოლოს კი ყვავილებით შეამკეს დათას საფლავი და მიულოცეს დაბადების დღე.

ტურნირი ორგანიზებული და დაფინანსებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ (სამსახურის უფროსი ქალბატონი როზეტა შულაია).

**ლევან ლემონჯავა.**



## ხობელი მოჭადრაკეების წარმატება





2015წლის 4-8 თებერვალს ქ. ფოთში ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი ჭადრაკში 7,10,14,18 წლის გოგონათა და ჭაბუკთა შორის. 14 წლის ჭაბუკებს შორის წარმატებით იასპარეზეს განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ჭადრაკის ჯგუფის მოსწავლეებმა.

**ლუკა შამუგიამ**–ცხრა შესაძლებლობიდან 6 ქულით მე-3 ადგილი მოიპოვა, ხოლო მე-5 ადგილზე გავიდა **გიორგი ლატარია**. მწვრთნელ-მასწავლებელი ირაკლი გეთია.

ორივე მოჭადრაკემ მოიპოვა საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატის საგზური.

## ვლადიმერ მაისურაძის სახელობის ტურნირი



13-15 თებერვალს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს სასპორტო სკოლებისა და აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრები გუნდები (სულ 235 მონაწილე).

ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის მოსწავლეებმა.

52. კგ წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა ჯონი ხეცურიანმა,

56 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი გიორგი სოსელიამ მოიპოვა, (მწვრთნელ-მასწავლებელი ალმასხან ხუნჯუა, საჯიჯაოს ჯგუფი),

მეოთხე ადგილზე გავიდა ნიკა ყორშია.

სამივე მოჭიდავე, 18-28 თებერვალს, ნაკრებ გუნდთან ერთად სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გაივლის ბაკურიანში, სადაც ზაფხულის ევროპის ჩემპიონატისთვის შეირჩევიან მონაწილეები.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტი–ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.